პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 7 აპრილი, 1946 წ. № 71 (7544). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად. მოწინავე (1-ლი გვერდი).

„მეტი სტახანოვური ჰექტარები!“ (1-ლი გვერდი).

ი. ლენინი — მეორე მსოფლიო ომის წარმოშობა და ხასიათი (მე-2 გვერდი).

გავაუმჯობესოთ მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენება. „პრავდის“ 6 აპრილის მოწინავე (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება: ვიბრძვით პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის; დადგენილება და საქმეები (მე-3 გვერდი).

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება: ტყიბულელთა გამოწვევა მიღებულია; მანქანათმშენებელთა მაჩვენებლები; უნარიანი მუშაობის შედეგი (მე-3 გვერდი).

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები: დეპეშები. (მე-4 გვერდი).

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად

საკოლმეურნეო მინდვრებზე გაჩაღებულია ბრძოლა უხვი მოსავლის მისაღებად. დიდი სტალინის წინასაარჩევნო სიტყვით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებული კანონებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკები ახალი ენერგიით შრომობენ ბარაქიანი მოსავლის მოსაყვანად, ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ დიად მშენებლობათა ახალი ხუთწლედის განხორციელებაში.

პოლიტიკური მუშაობა სოფლად მნიშვნელოვნად გაძლიერდა. საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებში გაისმის ათასობით აგიტატორის მართალი ბოლშევიკური სიტყვა. აგიტატორები გულდასმით განუმარტავენ შრომელებს სოციალისტური საშრომლოს შემდგომი წინსვლისა და აყვავების გრანდიოზულ პროგრამას—სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების გეგმას. ისინი კოლმეურნეებს ეასუბრებიან იმ ამოცანებზე, რომლებსაც საკოლმეურნეო სოფლის წინაშე აყენებს მეოთხე სტალინური ხუთწლედი.

სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა კარგად შეითვისეს ახალ ამოცანათა მთელი სიდიადე და ყოველდღიური პოლიტიკური მუშაობით რაზმავენ მასებს დაასახული პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის. სოფელ განთიადის (გაგრის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. ბ. ლუკავა) სერიოზულ პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა. კოლმეურნეებისათვის აქ ხშირად იმართება ლექციები და მოხსენებები. ბრიგადებსა და რგოლებში ყოველდღიურად ეწყობა სააგიტაციო საუბრები. კოლმეურნენი დიდი ინტერესით უსმენენ აგიტატორებს, სჯერათ მათი და ასრულებენ მათს რჩევას იმიტომ, რომ ისინი ყოველთვის მომზადებული მიდიან ბრიგადაში თუ რგოლში და საუბარს მაღალ იდეურ დონეზე ატარებენ. ამაში აგიტატორებს დიდ დახმარებას უწევს აგიტკოლექტივი. შასობრივ-პოლიტიკური მუშაობის კარგად აყენებენ პარტიული ორგანიზაცია ნამდვილად ეხმარება კოლმეურნეობის გამგეობას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებაში. კოლმეურნეობამ უკვე დაამთავრა თამბაქოსა და სიმინდისათვის ნიადაგის პირველი ხვნა, მოაწყო თამბაქოს ჯანსაღი სანერგე. მეორე მაგალითი. სოფელ ტაბახმელის (თბილისის რაიონი) საბჭოების VIII საგანგებო ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ბ. იაკობიძე) რამდენჯერმე განიხილა საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადების საკითხი. კომუნისტების მიერ შეტანილი წინადადებანი, რომლებიც პარტიული კრების მიერ მიღებულ დადგენილებებშია ასახული, განუხრელად სრულდება. პარტიული ორგანიზაციის დახმარებით კოლმეურნეობის გამგეობამ სწორად განაწილა ძალები. ფართოდ გაჩაღდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ამას შედეგად მოჰყვა სერიოზული წარმატებები. კოლმეურნეობამ დროზე და ხარისხოვნად შეაკეთა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, საჭირო რაოდენობით მოიმარაგა კონდიციური თესლი. ამჟამად ხვნა კოლმეურნეობაში ძირითადად დამთავრებულია. მოხნულია 500 ჰექტარი. გადაჭარბებით შესრულდა საგაზაფხულო ქერისა და მზესუმზირას თესვის გეგმა. კომუნისტები კოლმეურნეობაში თავდადებული შრომის მაგალითებს იძლევიან.

ასეთი მაგალითები მრავლად შეიძლება დავასახელოთ. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს ყველგან ყველაფერი რიგზე იყოს. ბევრია ისეთი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და მტს-ი, რომლებიც მოუმზადებელი შეხვდნენ გაზაფხულს და საგრძნობლად ჩამორჩებიან დავალებათა შესრულებაში. ცხადია, ეს პარტიული ორგანიზაციების სუსტი, მოუქნელი მუშაობით, პირველ რიგში პოლიტიკური მუშაობის დაბალი დონითაც უნდა აიხსნას. კასპის მტს-ში „ნატის“ მარკის 2 ტრაქტორს ჯერ კიდევ გუთანი არა აქვს. აქ არ მოუწყვიათ მოძრავი სახელოსნო. ერთი ტრაქტორი ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბოსლის ეზოში უპატრონოდ არის მიტოვებული. მტს-ის მოუქნელი მუშაობით ფერხდება საწვავ-საცხები მასალის ადგილზე მიტანა. თელეთის მტს-ში (თბილისის რაიონი) 12 კომბაინიდან დღემდე არც ერთი არ არის შეკეთებული. იმის თქმა, რომ მოსავლის აღება დაწყებამდე მაინც მოასწრებენ მათ შეკეთებას, ნიშნავს გაამართლო მტს-ის ხელმძღვანელთა უხეიერო მუშაობა. ცხადია, აღნიშნული მტს-ების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის სუსტი მუშაობის ბრალიც არის.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა იბრძოლონ საგაზაფხულო სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის, პოლიტიკურად უზრუნველჰყონ ამ უდიდესი სამეურნეო კამპანიის წარმატება.

რა არის ამისათვის საჭირო?

უპირველეს ყოვლისა, კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკთა შორის პოლიტიკური მუშაობის გასაწევად მოვიზიდოთ მეელი აქტივი, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, სოფლის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. დაწვრილებით, ყოველდღიურად უნდა განვუმარტოთ მშრომელებს მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველი წლის გეგმა სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში, ნათლად, გასაგებად ავუხსნათ მათ საერთაშორისო მდგომარეობა და ჩვენი ქვეყნის განვითარების ის დიადი პერსპექტივები, რომლებსაც მეოთხე ხუთწლედი ითვალისწინებს.

საჭიროა გავაძლიეროთ სააგიტაციო მუშაობა და ხელმძღვანელობა აგიტატორებისადმი. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან იზრუნონ იმისათვის, რომ საუბრები, რომლებიც საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებში. სატრაქტორო ბრიგადებში ტარდება, იყოს მაღალიდეური, დამრაზმავი, ნამდვილად უწყობდეს ხელს საქმის წინ წაწევას.

ამხანაგ სტალინის სიტყვის და სესიის მიერ მიღებული კანონების პასუხად საკოლმეურნეო სოფელში მშრომელთა აქტივობა გაიზარდა. ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ სოფლის მშრომელთა ამ აქტივობას, სისტემატურად შეამოწმონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა, დაეხმარონ ჩამორჩენილებს, რათა ისინი მხარში ამოუდგნენ მოწინავეებს.

საქართველოს კოლმეურნეობებში დაიწყო მოძრაობა მეტი სტახანოვური ჰექტარებისათვის. სტახანოვური ჰექტარები მოსავლიანობის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. აქაც უნდა გამოჩნდეს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი და ორგანიზატორული როლი. საჭიროა უზრუნველვყოთ სტახანოვური ჰექტარებიან დაუწყვეტელი ზრდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1946 წელს სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმის შესახებ პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო პროგრამაა. პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველდღიური პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობით უნდა დარაზმონ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ამ პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად, აღფრთოვანონ ისინი თავდადებული შრომისათვის, რათა კიდევ უფრო უძლეველი და მშვენიერი გახდეს ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლო.

ახალი ექსპონატები ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ულიანოვსკის ფილიალში

ულიანოვსკი, 2 აპრილი. (საკდესი). ვ. ი. ლენინის დაბადების 76 წლისთავთან დაკავშირებით ცენტრალური მუზეუმის ულიანოვსკის ფილიალი ახალი ექსპონატებით შეივსება.

მოსკოვიდან აქ ჩამოიტანეს მაკეტი „ლენინის კაბინეტისა კრემლში“. თბილისიდან გამოგზავნილია მხატვრულად გაფორმებული მაკეტი თემაზე „ავლაბრის სტამბაში“. სულ მიღებული იქნება 400-ზე მეტი სურათი, ვლადიმერ ილიას-ძის ფოტოგრაფიებისა და ხელნაწერების ფოტოასლები. მათ შორის არის მხატვარ კუზნეცოვის ცნობილი სურათის „თებერვლის დღეები“ რეპროდუქცია, სურათი „რუსეთის ელექტროფიკაცია ვ. ი. ლენინის მიერ დამტკიცებული გოელროს გეგმის მიხედვით“, „ლენინური გაწვევა“ და სხვ.

ლენინის დღეებისათვის ულიანოვსკის ფილიალის 12 დარბაზში ექსპონირებული იქნება 1.500-მდე სხვადასხვა დოკუმენტი, რომლებიც ასახავენ საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ფუძემდებლის ცხოვრებასა და ოღოვაწეობას.

კოლმეურნეთა შრომის დამაჯებითი ანაზღაურება

სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროში მიღებულია წინასწარი ცნობები კოლმეურნეობებში 1945 წლისათვის შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სამინისტროს საკოლმეურნეო მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსმა ამხ. ვ. ა. ჩუვიკოვმა განაცხადა:

— 215.700 სასოფლო-სამეურნეო არტელიდან, რომლებმაც გასული წლის წლიური ანგარიშები წარმოადგინეს, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების, პირუტყვის სულადობის გამოზრდისა და მისი პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეებს დამატებითი ანაზღაურება დაურიცხეს 74.330 სასოფლო-სამეურნეო არტელში.

შარშან დიდ წარმატებებს მიაღწიეს მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებმა. აქ 6.452 კოლმეურნეობიდან დამატებითი საზღაური დარიცხულია 4.855 კოლმეურნეობაში. ყაზახეთის სს რესპუბლიკაში იგი დარიცხულია 6.599-დან 4.045 კოლმეურნეობაში, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში—6.698-დან 3.309 კოლმეურნეობაში და სხვა. დამატებითი საზღაური მიიღო აგრეთვე კალინინის, სვერდლოვსკის, სტალინგრადის, სტალინოს და სხვა ოლქების მრავალმა კოლმეურნემ.

სტალინგრადის ოლქის სტარო-ტაშევოს რაიონის კოლმეურნეობა „ბაპოროუეცში“ ივანე მიხაილოვის ბრიგადამ 288 ჰექტარზე აიღო 22 ცენტნერი მოსავალი თითო ჰექტარზე, გეგმით კი ნავარაუდევი იყო 11,2 ცენტნერი. ბრიგადას დაერიცხა 780 ცენტნერი მარცვლეული. ამ ბრიგადის კოლმეურნე ამხ. ვასილიევმა 2.320 კილოგრამი მარცვლეული მიიღო.

სვერდლოვსკის ოლქის კრასნოუფიმსკის რაიონის კოლმეურნეობა „ობიედინენიემ“ ჰექტარზე 17,3 ცენტნერი მარცვლეული, 15 ცენტნერზე მეტი მუხუდო, 213 ცენტნერი კარტოფილი მოიწია. კოლმეურნეებმა შრომადღეებზე აღებულის გადამეტებით მიიღეს—189 ცენტნერი მარცვლეული, 75 ცენტნერი მუხუდო და 2.777 ცენტნერი კარტოფილი.

ანა ეკვთიმეს-ასულ კარტავას რგოლს (კემეროვოს ოლქის მარიინსკის რაიონის კოლმეურნეობა „პუტ კ სოციალიზმუ“), რომელმაც კარტოფილის სარეკორდო მოსავალი მოიყვანა, მარტო დამატებითი საზღაურის სახით დაერიცხა 40 ცენტნერი მარცვლეული და 506 ცენტნერი კარტოფილი.

კოლმეურნეობათა უმეტეს ნაწილს დამატებითი საზღაური ეძლევა მეცხოველეობის დარგში მიღწეული წარმატებებისათვის.

კემეროვოს ოლქის ტიტოვოს რაიონის კოლმეურნეობის „პუტ კ სოციალიზმუ“ მწყემსმა ირინე ბუტჩენკომ 200 დედა-ცხვარისაგან მიიღო და შეინარჩუნა 245 ბატკანი. მას მიეცა დამატებითი საზღაური—27 ბატკანი.

სტალინოს ოლქის სელიდოვკის რაიონის კოლმეურნეობა „კომსომოლეცის“ მწველავმა მარიამ კონონენკომ მასზე მიმაგრებული 8 ძროხისაგან 13.804 ლიტრი რძე მიიღო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.960 ლიტრისა. დამატებითი საზღაურის სახით მან მიიღო 877 ლიტრი რძე. სტალინოს ოლქის კემეროვოს რაიონის პეტროვსკის სახელობის კოლმეურნეობის მეფუტკრემ ს. პ. მაიდაკმა 3.809 კილოგრამის გადაჭარბებით შეასრულა თაფლის აღების გეგმა, მას მიეცა დამატებითი საზღაური—571 კილოგრამი თაფლი.

ასეთი მაგალითი ბევრია. ეს მაგალითები მოწმობენ, რომ დამატებითი ანაზღაურების შეძლება დიდ სტიმულს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გასადიდებლად და უხვ შემოსავალს უზრუნველჰყოფს კოლმეურნეთათვის. (საკდესი).

„მეჯი სტახანოვური ჰექტარები!“

გამოხმაურება გაზეთ „კომუნისტის“ 28 მარტის მეთაურ წერილზე

(გორელ კოლმეურნეთა რაიონული თათბირი)

კოლმეურნეობებში იხილავენ გაზეთ „კომუნისტის“ 28 მარტის მეთაურ წერილს „მეტი სტახანოვური ჰექტარები!“. გაზეთის მოწოდების საპასუხოდ მოწინავე ადამიანები კისრულობენ ახალ ვალდებულებებს.

საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომი და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებას. 5 აპრილს რაიონულ თათბირზე შეიკრიბნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების მდივნები, ბრიგადირები, მერგოლურები, მეჭარხლე სტახანოველები და სპეციალისტები, სულ 1.000-მდე კაცი.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა და „კომუნისტის“ 28 მარტის მეთაურ წერილში დასახული ამოცანები დამსწრეთ გააცნო საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ყუჯიაშვილმა.

მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ტექნიკური კულტურების განყოფილების გამგემ ამხ. ზ. თავზარაშვილმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ გორის რაიონმა 1944 წელს საკავშირო მასშტაბით მოიპოვა პირველობა, ხოლო შარშან 1942 წელთან შედარებით ოთხჯერ მეტი ჭარხალი მოიყვანა და წლიური გეგმა 110 პროცენტით შეასრულა. ზემო ხიდისთავის, ოთარაშენის, ქერეს, ვარიანის, თედოწმინდის, ფლავის, ზემო ნიქოზის კოლმეურნეობებმა ჰექტარზე 400-500 ცენტნერამდე შაქრის ჭარხალი მოიყვანეს. წარმატებათა მოპოვებაში დიდი როლი შეასრულეს სტახანოვურმა ჰექტარებმა. ნაკვეთების ინდივიდუალური დამუშავებისათვის მიჩენამ გაზარდა კოლმეურნეთა პასუხისმგებლობა და დაინტერესება. შარშან სტახანოვური ნაკვეთების სახით ინდივიდუალური დამუშავებისათვის 1.780 კოლმეურნეს მიჩენილი ჰქონდა 178 ჰექტარი ჭარხლის ნათესი. აგროტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტად გატარების შედეგად ბევრმა სარეკორდო მოსავალი მიიღო. მაგალითად, მარანელმა კოლმეურნემ ალექსანდრე ბესტავაშვილმა ჰექტარზე 1.292 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა, დიკელმა ა. ხმიადაშვილმა —1.250 ცენტნერი, ზემონიქოზელმა ელენე მჭედლიძემ — 978 ცენტნერი, ქვემოხვითელმა თამარ მეგრელიშვილმა — 750 ცენტნერი. უხვი მოსავალი მოიყვანეს ცალკეულმა ბრიგადებმა და რგოლებმაც. სოფელ ქვემო ხვითის კოლმეურნეობაში გ. ბასილაძის ბრიგადამ ჰექტარზე საშუალოდ 780 ცენტნერი ჭარხალი მიიღო, სოფელ სათემოს კოლმეურნეობაში მარგარიტა ჯავახიშვილის ბრიგადამ—600 ცენტნერი. სოფელ ზეედულეთში ნიკოლოზ ბერიანიძის ბრიგადამ 3 ჰექტარზე იმდენი ჭარხალი მოიყვანა, რამდენიც სხვა ბრიგადებმა მოიყვანეს 10 ჰექტარზე.

კოლმეურნეებმა შარშან სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ჭარხლის საფასურის ანგარიშში 6.000 ფუთზე მეტი შაქარი მიიღეს, ფულად კი 3.800.000 მანეთი. მარტო თავმჯდომარეებსა და ბრიგადირებს — 248 კაცს ქარხნიდან ჯილდო-დანამატის სახით 87.000 მანეთი მიეცა. კარგი მუშაობის შედეგად ზემონიქოზელ სტახანოველ ე. მჭედლიძეს 4 ფუთამდე შაქარი ერგო, ხელთუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ი. ჯანეზაშვილს—7,5 ფუთი. ამავე კოლმეურნეობის წევრებს ახლა 33 ჰექტარიდან ჩაბარებული 7.311 ცენტნერი ჭარხლის ანგარიშში მტკიცე ფასებში 33.000 მანეთის სამრეწველო საქონელი ეძლევათ.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გაზეთ „კომუნისტის“ 28 მარტის მეთაურ წერილში აღძრული საკითხთან დაკავშირებით ამჟამად სტახანოვური ჰექტარების რიცხვი ბევრად გაიზარდა. ინდივიდუალური დამუშავებისათვის ნაკვეთები აიღო დაახლოებით 3 ათასმა კოლმეურნემ.

თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე ილაპარაკეს სტახანოველმა მეჭარხლეებმა: ელენე მჭედლიძემ, რეზო ელიკაშვილმა (სოფელი ქერე), თათო ნიკოლაიშვილმა (სოფელი ფლავი), პელო აბალაკმა, ელენე გიგაურმა და ვიმო მერაბიშვილმა (ბერბუკი), ნადია ბუჯიაშვილმა (შავშვები), ლეო კეჩხუაშვილმა (მექვაბიანთუბანი), იოსებ ხომასურიძემ (პატარა მეჯვრისხევი), კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა ი. ჯანეზაშვილმა (ხელთუბანი), ა. მჭედლიძემ (ზემო ნიქოზი), კ. მაისურაძემ (ქვემო ხვითი), შ. ტატიაშვილმა (ახალი უბანი), ი. თვარელიძემ (ქვემო შავშვები), ვ. ვალიშვილმა (ზერტი), ფ. რუსიტაშვილმა (ბერბუკი), ს. ბერძენიშვილმა (თორტიზა), ს. პავლიაშვილმა (ქვემო ტყვიავი), შ. სუხიშვილმა (მეჯუდისპირი), ვ. სამადაშვილმა (ტირძინისი), აგრონომმა ლ. კეჩხუაშვილმა (მექვაბიანთუბანი) და სხვ.

როგორც თათბირზე განაცხადეს, წელს რამდენიმე ათეული კოლმეურნე კისრულობს ჰექტარზე საშუალოდ 1.200 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანოს, მათ შორის რ. ელიკაშვილი, ელენე მჭედლიძე და სხვ.

ბევრად მეტია იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებიც ჰექტარზე 800-1.000 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მოყვანის პირობას იძლევიან. მათ შორის არიან ვ. გიგუაშვილი (სოფელი ხიდისთავი), ი. მახათაძე და კ. ლიჩელი (მეჯუდისპირი), გ. მაზანაშვილი (სოფელი ზერტი) და სხვ.

ვორელი კოლმეურნეები წელს შარშანდელზე 200 ჰექტარით მეტ შაქრის ჭარხლს სთესავენ, სულ 1.100 ჰექტარს. სტახანოველ კოლმეურნეთა ნაკისრი ვალდებულებების მიხედვით ინდივიდუალურად დამუშავებისათვის მიჩენილ 300 ჰექტარზე წელს მოიყვანენ 240.000 ცენტნერ შაქრის ჭარხალს, ესე იგი 20.000 ცენტნერით იმაზე მეტს, რაც 1.200 ჰექტარზეა გეგმით გათვალისწინებული. კოლმეურნეობები პირობას იძლევიან, რომ რაიონში სტახანოვური ნაკვეთების მიჩენით ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობას შარშანდელთან შედარებით სულ მცირე 100 ცენტნერით გაადიდებენ.

ხელთუბნის კოლმეურნეობაში, სადაც წელს შარშანდელზე 4 ჰექტარით მეტი ჭარხალი ითესება 10 ჰექტარი სტახანოვური იქნება, ქვემო ხვითში—5 ჰექტარი, დიდ ბერშუეთში—4, ზერტში—8, კარალეთში — 10 ჰექტარი.

თათბირის დასასრულს სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი ამხ. ი. ყუჯიაშვილი, რომელმაც დამსწრეთ მოუწოდა ყველა შესაძლებლობა გამოიყენონ შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის ამაღლებისათვის, ახლავე შეუდგნენ მუშაობას, ზუსტად დაიცვან აგროწესები.

გორელმა კოლმეურნეებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს კასპის რაიონის მშრომელები.

თათბირის შედეგებს განიხილავს საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის ბიურო.

საგანგებო ინფორმაციები

საბჭოთა ჯარების ევაკუაცია მანჯურიიდან

ჩანჩუნი, 3 აპრილი. (საკდესი). თქვენი კორესპონდენტის მიერ მიღებული ცნობებით, დღეს მარშალ მალინოვსკის შტაბის უფროსმა გენერალმა ტროცენკომ ჩინეთის სამხედრო მისიის უფროსს გენერალ დუნ იან-პინს აცნობა მანჯურიის ცალკეული პუნქტებიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის ვადები.

გენერალმა დუნ იან-პინმა ჩინეთის მთავრობის სახელით სურვილი გამოსთქვა, რომ საბჭოთა ჯარების მცირე გარნიზონები დარჩნენ სხვადასხვა ქალაქებში ჩინეთის მთავრობის ჯარების მისვლამდე, რომელთა ჩასვლაც შეიძლება დაგვიანდეს.

ამის პასუხად გენერალმა ტროცენკომ განაცხადა, რომ ცალკეული პუნქტებიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის ვადები განსაზღვრულია ... ვარაუდით, რომ ევაკუაცია დამთავრდეს აპრილის დამლევს, ხაბჭოთა კავშირის ოფიციალურად გამოქვეყნებული განცხადების თანახმად. ამიტომ საბჭოთა სარდლობას არ შეუძლია დაკმაყოფილოს ვენერალ დუნ იან-პინის სურვილი, რომ მთელ რიგ ქალაქებში საბჭოთა გარნიზონები დატოვებულ იქნან ევაკუაციის დადგენილ ვადების შემდეგ.

საბჭოთა ჯარების ევაკუაცია ბორნჰოლმიდან

კოპენჰაგენი, 5 აპრილი. (საკდესი). დღეს საბჭოთა ჯარების სარდალმა ბორნჰოლმზე გენერალ-მაიორმა იაკუშევმა დასტოვა კუნძული და გაემგზავრა საბჭოთა სამხედრო ხომალდით. გენერალ-მაიორის გასაცილებლად რამდენიმე ათასი ბორნჰოლმელი შეიკრიბა. დანიის ხომალდებმა სალუტი მისცეს 21 გასროლით. საბჭოთა ხომალდმა საპასუხო სალუტი მისცა.

კავამ-ეს-სალჯანეს განცხადება

თეირანი, 5 აპრილი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის საგენტომ თეირანიდან გადასცა:

ირანის პრემიერმა კავამმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირ-ირანს ხელშეკრულება, აგრეთვე ირანიდან რუსეთის ჯარების ევაკუაცია ზედმეტს ხდის ირანის საკითხს შემდგომ განხილვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 6 მაისს.

საბჭოთა კავშირ-ირანის შეთანხმების გამო

თეირანი, 5 აპრილი. (საკდესი). ირანის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა უცხოელ ჟურნალისტებისათვის კომენტარი გაუკეთა საბჭოთა კავშირ-ირანის შეთანხმებას და განაცხადა:

ეს შეთანხმება შეეფერება ირანის მთავრობისა და ირანელი ხალხის სურვილს და ახალ ერას ჰქმნის საბჭოთა კავშირისა და ირანელი ხალხების ურთიერთობაში. ამ შეთანხმების ხელმოწერით ჩვენმა მთავრობამ სრული კმაყოფილება მიიღო თავისი პოლიტიკის განხორციელებით. ჩვენ ვისურვებთ კარგი ურთიერთობა ვიქონიოთ საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის ისევე, როგორც ჩვენს ქვეყანასა და ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს შორის. საბჭოთა კავშირ-ირანის შეთანხმების ხელმოწერა დიდი მნიშვნელობის მოვლენაა და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მას კარგად შეხვდება ყველა მოკავშირე, ვინაიდან იგი სამსახურს გაუწევს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

გულგარეთში აღმოაჩინეს არალეგალური ფაშისტური ჯგუფი

სოფია, 5 აპრილი. (საკდესი). პლოვდივში აღმოაჩინეს დიდი ფაშისტური ხროვა; მას მეთაურობდა ვინმე პეტრე ვილკოვი, რომელიც წინათ გერმანიაში მუშაობდა. ბანდიტები თავიანთ მიზნად ისახავდნენ ტერორისტულ გამოსვლებს სამამულო ფრონტის მთავრობისა და მისი ორგანოების წინააღმდეგ. ფაშისტთა ჯგუფის წევრების დაპატიმრებისას აღმოაჩინეს დიდძალი შაშხანა, რევოლვერი, ბომბი და ვაზნა. ფაშისტური ხროვა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადგილობრივ ოპოზიციონერებთან ნიკოლა პეტკოვის ჯგუფიდან.

„ლენინგრადი“ 18 ქალაქისათვის

ლენინგრადი, 6 აპრილი. (საკდესი). შენობა კოშკებით ორ ნაწილად იყოფა—ერთი ნაწილი მომსვლელებისათვის, მეორე კი—წამსვლელი მგზავრებისათვის. ზღვისკენ მიბრუნებული გრანიტის კოშკები მორთულია სსრ კავშირის გერბით. კოშკებიდან მიდის რკინა-ბეტონის ხიდი, რომელიც სადგურის შენობას საზღვაო ვაგზალთან აერთებს. ეს მონუმენტალური შენობა ძლიერ კეთილმოწყობილია მგზავრებისათვის. პირველი სართული განკუთვნილია ნივთების შესანახავად და სასამსახურო სადგომებისათვის. მგზავრები, ნივთებს რომ ჩააბარებენ, ესკალატორით ადიან მეორე სართულში. აქ არის ყოფაცხოვრებითი მომსახურების ოთახები და რესტორანი. მესამე და მეოთხე სართულებში არის სასტუმრო სატრანზიტო მგზავრებისათვის, ბავშვთა ოთახები, ბილეთის სალაროების დიდი დარბაზი, ფოსტა და სხვ.

ასეთი იქნება ახალი ვაგზალი მურმანსკში, რომლის პროექტიც შესრულებულია „ლენტრანსპროექტის“ არქიტექტურულ სახელოსნოში. ეს არის ერთ-ერთი ვაგზალი მომავალ მრავალ ვაგზალთაგან. არქიტექტორები ასეთ შენობებს აპროექტებენ ყარაგანდის, ყურსკის, კაუნასის, პეტროზავოდსკის, პიარნუსა და სხვა ქალაქებისათვის. პროექტების შედგენისას გათვალისწინებულია ახალ ხუთწლედში ქალაქების რეკონსტრუქციისა და აღდგენის საერთო ანსამბლი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობათა კომფორტაბელობას და კეთილმოწყობას მგზავრებისათვის: საყოფაცხოვრებო ატელიეს, შხაპს, სასტუმროს, ბავშვთა ოთახს, რესტორანს, სამკითხველო დარბაზს, ფოსტას, ტელეგრაფსა და სხვ.

1946 წელს „ლენტრანსპროექტის“ არქიტექტურულ სახელოსნოში დამთავრდება დაპროექტება 18 ვაგზლისა, რომელთა მშენებლობაც გათვალისწინებულია ახალ ხუთწლედში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 6 აპრილს 76 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი რუსი მეცნიერი მეტალურგი, ქიმიკოსი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი **ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ბაიკოვი.**

საკდესი უარჰყოფს

ინგლისურ გაზეთ „ორკშირ პოსტში“ ამას წინათ გამოქვეყნებულ სტატიაში ამტკიცებენ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სექტემბრის სესიაზე „რუსეთი მოითხოვდა, რათა იტალიას გადაეხადა რეპარაციები 750 მილიონი გირვანქა სტერლინგის როდენობით“, რაც 3 მილიარდ დოლარს შეადგენს, და თითქოს „არავითარი ნიშანი არ არის იმისა, რომ რუსეთმა უარი სთქვას თავის მოთხოვნაზე“.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს მტკიცება სიცრუეს წარმოადგენს. ნამდვილად საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სექტემბრის სესიაზე საბჭოთა კავშირის მხრივ წამოყენებული იყო წინადადება იტალიის მიერ საბჭოთა კავშირისათვის, იუგოსლავიისათვის, საბერძნეთისა და ალბანეთისათვის რეპარაციების გადახდის შესახებ 300 მილიონი დოლარის რაოდენობით, აქედან საბჭოთა კავშირისათვის მხოლოდ 100 მილიონი დოლარი, ამასთან ამის შესახებ უკვე არაერთგზის იყო ცნობა როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის პრესაში.

მეორე მსოფლიო ომის წარმოშობა და ხასიათი

ამხანაგ სტალინის მიერ მიმდინარე წლის 9 თებერვალს ამომრჩეველთა წინაშე წარმოთქმული სიტყვა წარმოადგენს ახალ განძს მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში და კერძოდ მოძღვრებაში ჩვენი თანამედროვე ეპოქის ომების წარმოშობისა და ხასიათის შესახებ.

ბურჟუაზიული და სოციალ-ოპორტუნისტული თეორეტიკოსები საგარეო პოლიტიკისა და ომების ანალიზის დროს ხელოვნურად განაცალკევებენ პოლიტიკას ეკონომიკისაგან, საშინაო პოლიტიკას საგარეოსაგან. ისინი ხშირად ცდილობენ ორგანული სამყაროს განვითარების ბიოლოგიური კანონები გადაიტანონ საზოგადოებრივი ურთიერთობის დარგში. აქედანაა არაისტორიული, აბსტრაქტული, ზერელე, ანტიმეცნიერული მათი მიდგომა საგარეო პოლიტიკის და ომების პრობლემებისადმი.

ლენინმა თავის შრომებში ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გამოამჟღავნა კაპიტალიზმის განვითარების იმპერიალისტური სტადიის არსი, გვიჩვენა იმპერიალისტური ექსპანსიის ეკონომიური და სოციალური საფუძველი.

ლენინი ლაპარაკობდა ორ ეპოქაზე ახალი დროის ისტორიაში. ამ ეპოქების გამყოფი მიჯნა იყო პირველი მსოფლიო ომი. 1871-1914 წლებში კაპიტალიზმის განვითარება შედარებით მშვიდი და უმღვლვარო იყო. მაშინ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს შესაძლებლობა ჰქონდათ „მშვიდობიანად გაეფართოებინათ“ თავიანთი არე ჯერ კიდევ დაუკავებელ მიწებზე, ტერიტორიაზე, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ჩათრეული კაპიტალისტური წარმოების ორომტრიალში.

„ეს ეპოქა,—სწერდა ლენინი,—წარსულს ჩაბარდა,—იგი შეიცვალა შედარებით გაცილებით უფრო სწრაფი ნახტომისებრი, კატასტროფიანი, კონფლიქტებიანი ეპოქით...“ (თხზ. ტ. XVIII, გვ. 354 რუს. გამოც.).

ლენინის მიერ აღმოჩენილი კანონი იმპერიალიზმის დროს კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების არათანაბრობისა განსაკუთრებული სიცხადით ააკარავებს იმპერიალიზმის ეპოქაში ომების წარმოშობის მიზეზსა და მექანიზმს. ამხანაგმა სტალინმა ყოველმხრივ დაამუშავა ლენინის მოძღვრების ეს უმნიშვნელოვანესი დებულება.

ცალკეული ქვეყნების განვითარება არათანაბრად, ნახტომისებრად სწარმოებს. ამ ქვეყნებს შორის ძალთა თანაფარდობა იცვლება. მსოფლიო კი უკვე განაწილებულია, და შეიძლება სწარმოებდეს უკვე განაწილებული მსოფლიოს მხოლოდ გადანაწილება. კაპიტალისტურ ქვეყნებსა და ქვეყნების ჯგუფებს შორის გავლენის სფეროთა ძველი განაწილება ეჯახება ძალთა ახალ თანაფარდობას მსოფლიო ასპარეზზე, დარღვეული წონასწორობის აღდგენა ხდება ომების საშუალებით.

9 თებერვალს წარმოთქმულ თავის სიტყვაში ამხანაგი სტალინი ააშკარავებს იმპერიალიზმის ეპოქაში საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების საერთო კანონზომიერებას, რომელიც მდგომარეობს კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემაში წონასწორობის პერიოდულ მკვეთრ დარღვევებში, რაც იწვევს კაპიტალისტური სისტემის კრიზისებს, კაპიტალისტური სამყაროს გაყოფას ორ ბანაკად და მსოფლიო ომებს.

* * *

პირველი მსოფლიო ომის წინახანებში შეიქმნა ქვეყნების ორი ჯგუფი. ერთის მხრივ, ძველი კაპიტალიზმის ქვეყნები, რომლებმაც უდიდესი სიმდიდრე დააგროვეს, რომლებსაც მონოპოლიური პოზიციები ჰქონდათ მსოფლიო ბაზრებზე და ვითარდებოდნენ შედარებით ნელი ტემპით. მეორე მხრივ, ახალგაზრდა კაპიტალიზმის ქვეყნები, რომლებიც ვითარდებოდნენ სწრაფი ტემპით და სთვლიდნენ, რომ ნაკლებად იყვნენ უზრუნველყოფილნი გასაღების ბაზრებით, ნედლეულის წყაროებით და სხვა. ქვეყნების ეს მეორე ჯგუფი, რომელიც, ლენინის სიტყვით, „კაპიტალისტურ ლხინზე მივიდა, როცა ადგილები უკვე დაკავებული იყო“, ჩაება ბრძოლაში და განსაკუთრებით მტაცებლურად იყენებდა ავანგარდულ მეთოდებს, საუკეთესო ტექნიკასა და ორგანიზაციას.

კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის წონასწორობა დაირღვა. და, როგორც ლენინი აღნიშნავდა, „კაპიტალიზმის პირობებში შეუძლებელია, დროდადრო, დარღვეული წონასწორობის აღდგენის სხვაგვარი საშუალებანი, თუ არა კრიზისები მრეწველობაში, ომები პოლიტიკაში“. (ტომი XVIII, გვ. 232 რუს. გამოც.).

ამრიგად, კაპიტალისტური სისტემის პირველი კრიზისის შედეგად წარმოიშვა პირველი მსოფლიო ომი.

პირველი მსოფლიო ომის შედეგად გიგანტური ისტორიული ცვლილება მოხდა საერთაშორისო ასპარეზზე. სოციალიზმმა გაიმარჯვა რუსეთში, დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში. კაპიტალიზმი აღარ არის მსოფლიო მეურნეობის ერთადერთი ყოვლისმომცველი სისტემა. მსოფლიო ასპარეზზე უკვე თანაარსებობს ორი სისტემა—კაპიტალისტური და სოციალისტური. გაძლიერდა კაპიტალიზმის ლობა, მიი საფუძვლები მოიშალა. დასუსტდა იმპერიალისტური სახელმწიფოების პოზიციები კოლონიებში. კაპიტალისტური მეურნეობა ვითარდებოდა საწარმოთა ქრონიკული დაუტვირთველობის, მასობრივი მუდმივი უმუშევრობის ნიშნით. მკვეთრად გაძლიერდა კაპიტალისტური სისტემის ყველა საშინაო-პოლიტიკური და სახელმწიფოთაშორისი წინააღმდეგობა. ყოველივე ეს ერთად იყო მკაფიო გამოვლინება კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისისა, რომლის ანალიზი ამხანაგმა სტალინმა ძოგვცა საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებამ წინანდელზე კიდევ უფრო გამალებული, უფრო ნახტომისებრი და არათანაბარი ხასიათი მიიღო. იზრდებოდა და მტკიცდებოდა საბჭოთა კავშირი—სოციალიზმის დიდი სახელმწიფო. კაპიტალისტურ ეკონომიკას თავს დაატყდა გამანადგურებელი კრიზისები: 1920-21 წლების კრიზისი, 1929-1933 წლების კრიზისი, რომლებსაც მოჰყვა არა აღმავლობა, არამედ დეპრესია, განუწყვეტელი აგრარული კრიზისი.

ორი ათეული წლის მანძილზე, რაც პირველ მსოფლიო ომს ჰყოფს მეორისაგან, ფაქტიურად იყო მხოლოდ 6-7 შედარებით „მშვიდი“ წელი—1924-1931 წლები. მსოფლიოს ომისშემდგომი რეჟიმის შექმნა დამთავრდა მხოლოდ 1924-25 წლებში დაუეცის გეგმითა და ლოკარნოს ხელშეკრულებით. 1931 წელს კი იაპონიამ, დაიპყრო რა მანჯურია, დაიწყო შეიარაღებული ხელით მსოფლიოს ახალი გადანაწილება. აგრესორები შეუდგნენ ახალ ომში თანდათანობით ჩაბმას.

პირველი მსოფლიო ომიდან მეორემდე გასული ორი ათეული წლის მანძილზე სწრაფად იცვლებოდა ძალთა თანაფარდობა სახელმწიფოთა შორის. გერმანია, ვერსალის ზავით დროებით აძოიშალა დიდი სახელმწიფოების სიიდან, მაგრამ იგი ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საფინანსო კაპიტალის წაყრუებით სწრაფად გაიმართა წელში, ეწეოდა და წინ უსწრებდა რა გამარჯვებულ სახელმწიფოებს. 1936-39 წლების მანძილზე გერმანიის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ფაშისტ აგრესორთა ბლოკი. აგრესორების მთავარი ლოზუნგი იყო მსოფლიოს გადანაწილება ეგრეთწოდებული „ღარიბი ერების“ სასარგებლოდ (გერმანიამ, იაპონიამ და იტალიამ თავი გამოაცხადეს „ღარიბ ერად“, რომელებსაც „კანონიერი უფლება“ აქვთ იარაღის ძალით ჩამოართვან „შეძლებულ ერებს“ კოლონიები, ნედლეულის წყაროები და სხვ.).

ცნობილი გერმანელი მრეწველი ეუბნებოდა რაუშნინგს: „ჩვენ გვესაჭიროება ბაზრები და მათ ვერ ძივიღებთ გარიგებათა გზით, ერთადერთი გზაა მოვიპოვოთ ისინი სამხედრო ძალის საშუალებით. ადგილი არის მხოლოდ ერთი მრეწველობისათვის—გერმანული მრეწველობისათვის. ყველა დანარჩენი—ცარიელი ბუტაფორიაა. აი საქმის ჭეშმარიტი ვითარება. ეს არის ულმობელი ომი: ან ისინი ან ჩვენ“. მეორე ცნობილი მრეწველი ამბობდა: „ჩვენ მოგვეპოვება რაციონალიზებული მრეწველობა, რომლის სიმძლავრეც მნიშვნელოვნად აღემატება მთელი კონტინენტის მოთხოვნილებას. ჩვენ მხოლოდ ერთი გამოსავალი გვაქვს. მოგვეციოთ დიდი ბაზრები, ტერიტორია, სადაც იბატონებდა გერმანიის მრეწველობა — საარსებო სივრცე“.

ასე მოხდა კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის წონასწორობის ახალი დარღვევა, მოხდა ამ სისტემის მეორე კრიზისი. ასე წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომი.

* * *

მეორე მსოფლიო ომს მთელი რიგი არსებითი თავისებურებანი ჰქონდა პირველ მსოფლიო ომთან შედარებით. კაპიტალისტური სისტემის მეორე კრიზისი გაცილებით უფრო ღრმა, მწვავე და ყოვლისმომცველი იყო, ვიდრე პირველი. იგი ვითარდებოდა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მკვეთრი გამწვავების, ორ სისტემად მსოფლიოს გათიშვის, კაპიტალიზმის შემდგომი დასუსტების, სოციალიზმის გაძლიერებისა და განმტკიცების ვითარებაში.

მეორე ომი კიდევ უფრო გააფორებული, უფრო ხანგრძლივი იყო, მასში ჩაბმული იყვნენ უფრო მეტი ადამიანები, ვიდრე 1914-1918 წლების ომის დროს.

პირველი მსოფლიო ომი გაგრძელდა ოთხ წელზე მეტ ხანს, მეორე მსოფლიო ომი—ექვს წელს, ხოლო თუ ჩავთვლით ომში თანდათან ჩაბმის პერიოდსაც, 10 წელზე მეტ ხანს. მობილიზებულთა რიცხვმა 1914-1918 წლების ომში მიაღწია 74 მილიონს, ხოლო 1939-1945 წლების ომში 110 მილიონს აღემატებოდა. პირველი მსოფლიო ომის პლაცდარმები შედარებით განსაზღვრული იყო. მთელი აფრიკა, მთელი აზია (ზღვისპირა მცირე აზიის გარდა), დასავლეთი ნახევარსფერო, წყნარი ოკეანე სამომარი მოქმედების სფეროს გარეთ დარჩნენ. მეორე მსოფლიო ომის პლაცდარმი იყო უკლებლივ ყველა კონტინენტი, ყველა ზღვა და ოკეანე, გარდა სამხრეთი ყინულოვანი ოკეანისა.

ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ სამხედრო კატასტროფის თავიდან აცილება შეიძლებოდა ნედლეულისა და გასაღების ბაზრების შეთანხმებისა და მშვიდობიან გადაწყვეტილებათა წესით პერიოდული გადანაწილების შესაძლებლობა რომ ყოფილიყო. მაგრამ ახლანდელ კაპიტალისტურ პირობებში ეს შეუძლებელია. მეორე მსოფლიო ომის წინახანებში მართლაც იყო წამოყენებული სხვადასხვა წინადადებანი ნედლეულის წყაროების მშვიდობიანი გადანაწილების, კოლონიებში „ღია კარების“ პოლიტიკის დაწესების შესახებ და სხვა. მაგრამ ეს მეტად სუსტი და ერთობ შეზღუდული პროექტები იყო. მათ ისევე ნაკლებად შეეძლოთ ომის თავიდან აცილება, როგორც ჯადოქრის შელოცვებს ნაკლებად შეუძლიათ მიწისძვრის თავიდან აცილება.

თუ პირველი და მეორე მსოფლიო ომის წარმოშობის მიზეზები ძირითადად ერთი და იგივეა, სამაგიეროდ ომის ხასიათში არსებითი ცვლილებანი მოხდა. პირველი მსოფლიო ომი იმპერიალისტური იყო ორივე მხრიდან. მართალია, ამ ომშიც იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის ელემენტები, მაგალითად, ბელგიის ან სერბიის ბრძოლაში, მაგრამ ამ მომენტებს შემთხვევითი, მეორეხარისხოვანი, დაქვემდებარებული მნიშვნელობა ჰქონდათ. ომის ხასიათი მათ კი არ განუსაზღვრავთ, არამედ იგი განსაზღვრა იმ მდგომარეობამ, რომ ორი იმპერიალისტური დაჯგუფება ომში ძახავდა თავის იმპერიალისტურ მიზნებს, ხოლო მსოფლიო პროგრესისათვის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის გადამწყვეტ როლს არ ასრულებდა, თუ ამ ორ კოალიციათაგან რომელი გაიმარჯვებდა.

სხვა ისტორიული ვითარება შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. ფაშისტი აგრესორების ბლოკი მსოფლიო რეაქციის ციტადელი აღმოჩნდა, იგი ცდილობდა დემოკრატიულ თავისუფლებათა ჩახშობას, მუშათა კლასისათვის ყველა მისი უფლების წართმევას, მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის მოსპობას, მთელ მსოფლიოში ფაშისტური წყობილების დამყარებას, მთელი რიგი ქვეყნებისა და ხალხების დამონებას, საბჭოთა კავშირის განადგურებას.

ფაშიზმმა სასიკვდილო საფრთხე შეუქმნა ბევრი ქვეყნისა და ხალხის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, თვით ეროვნულ არსებობასაც. მან კოლონიური რეჟიმი დაამყარა ევროპის ცენტრშიც კი—საკმარისია აღინიშნოს ბოჰემიისა და მორავიის „პროტექტორატი“ ან პოლონეთის „საგენერალგუბერნატორო“. ფაშიზმს სურდა თავის კოლონიად გადაექცია ჩინეთი მისი ნახევარმილიარდიანი მოსახლეობით.

საზოგადოების დემოკრატიული ფენები, მუშათა კლასი, მთელი პროგრესული კაცობრიობა, რომლებიც თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იცავდნენ, აი პირველ რიგში ვინ იყო დაინტერესებული ფაშისტ აგრესორებზე გამარჯვებით.

ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ ომი არ შეიძლება არ ყოფილიყო სამართლიანი, პროგრესული ომი. შემთხვევითი როდია, რომ რეაქციული პროფაშისტური ჯგუფები ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში—1914 წლისაგან განსხვავებით—მეორე მსოფლიო ომის წინახანებში გამოვიდნენ პაციფისტური სამოსელით. მათ ეკავათ ანტიპატრიოტული პოზიცია, ყოველნაირად ფუშავდნენ დემოკრატიული ქვეყნების მზადებას თავდაცვისათვის, ქადაგებდნენ კაპიტულაციას აგრესორთა წინაშე.

როგორც ცნობილია, ინგლისისა და საფრანგეთის რეაქციული მმართველი წრეები ომის წინახანებში უარს ამბობდნენ საბჭოთა კავშირთან შეთანხმების დადებაზე გერმანიისათვის კოლექტიური წინააღმდეგობის გაწევად. ეს წრეები ცდილობდნენ გერმანია შეეჯახებინათ საბჭოთა კავშირისათვის, თვითონ კი გვერდზე გამდგარიყვნენ, როგორც მოხარული მესამე მხარე. ამის გამო საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა გასაკუთრებული ზომები მიეღო საკუთარი სახლის დასაცავად და შესვენების მისაღებად. ასე ჩაიფუშა „მშვიდობისმყოფელთა“ ვერაგული გეგმები და შეიქმნა წანამძღვარები არა მარტო იმისათვის, რომ სსრ კავშირი უკეთ მომზადებულიყო თავდაცვისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ შემდგომ ეტაპზე სწრაფად შექმნილიყო მძლავრი ანტიჰიტლერული კოალიცია.

რეაქციული ელემენტები ომის დროსაც ცდილობდნენ დაემახინჯებინათ მისი სამართლიანი, განმათავისუფლებელი ხასიათი. ენერგიული სამხედრო პოლიტიკის ყველაზე თანმიმდევრული მომხრენი, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ შთელი ძალების მობილიზებას და ომის დაბოლოებას აგრესორთა უსიტყვო კაპიტულაციით, იყვნენ საზოგადოების პროგრესული დემოკრატიული ფენები, ხალხის მასები. ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომმა თავიდანვე მიიღო განმათავისუფლებელი, ანტიფაშისტური ხასიათი.

ომის ხასიათს ვერ განსაზღვრავს მხოლოდ ერთი, თუნდაც უაღრესად არსებითი ფაქტორი. ომის ხასიათს ყოველთვის როდი განსაზღვრავენ მეომარი ქვეყნების ამა თუ იმ მმართველ დაჯგუფებათა სუბიექტური მიზნები და იდეებიც კი,—იგი განისაზღვრება იმით, თუ რა ობიექტური მნიშვნელობა აქვს ომს მსოფლიო პროგრესის მთელი საქმისათვის. ამ თვალსაზრისით მეორე მსოფლიო ომი თავიდანვე იყო იმპერიალისტური, დაპყრობითი ომი ფაშისტი ბარბაროსების მხრივ და სამართლიანი, პროგრესული და განმათავისუფლებელი ომი ყველა იმათ მხრივ, ვინც აგრესორების წინააღმდეგ ომობდა.

ომში საბჭოთა კავშირის ჩაბმამ გაძლიერა ომის ანტიფაშისტური ხასიათი. ომში საბჭოთა კავშირის მონაწილეობამ სრული სიცხადე შეიტანა ვითარებაში, მკაფიო ზღვარი გაავლო ერთის მხრივ რეაქციის ძალებსა და მეორე მხრივ პროგრესის ძალებს შორის. საერთაშორისო ასპარეზზე მოხდა ძალთა ძირეული გამიჯვნა.

საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც ესოდენი ჰხვერპლი გაიღეს მტერზე გამარჯვებისათვის, ყოველნაირად დაინტერესებული არიან ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობის მიღწევით.

ამხანაგი მოლოტოვი 1946 წლის 6 თებერვალს ამომრჩეველთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში აბობდა: „...ჩვენ გვესაჭიროება მშვიდობის ხანგრძლივი პერიოდი და ჩვენი ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფა. საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეობის პოლიტიკა რაღაც წარმავალი მოვლენა როდია, იგი გამომდინარეობს ჩვენი ხალხის ძირითადი ინტერესებიდან და საარსებო საჭიროებებიდან...“

მაგრამ საბჭოთა ადამიანები თვალს უსწორებენ იმ საშიშროებას, რაც შეიძლება წარმოიშვას ჩვენი ქვეყნისათვის, საშიშროებას, რომელიც გამომდინარეობს კაპიტალისტური გარემოცვისაგან. 9 თებერვლის სიტყვაში დაასახული დიადი სტალინური პროგრამის შესრულება წარმოადგენს საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების საწინდარს, საუკეთესო გარანტიას ყოველგვარი გარეშე შემთხვევითობისაგან და სწორ გზას ჩვენი სამშობლოს—პროგრესის, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ამ უდიადესი ბურჯის—ძალისა და ძლიერების განმტკიცებისაკენ.

ი. ლემინი

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

გავაუმჯობესოთ მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენება

დადგა ომისშემდგომი პირველი გაზაფხული, რომლისთვის ზრუნვაშიც მთელი ზამთარი გაატარა ჩვენმა სოფელმა. ბევრ რაიონში მინდვრებზე თოვლი უკვე დადნა. კოლმეურნეთესელი მინდვრად გადის, რათა მშობლიურ მიწაში მოაქციოს უხვი მოსავლის თესლი.

ახალი ხუთწლედის პირველი წლის თესვის ალო დაიწყო. იგი უდიდესი შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს. მოკლე ხანში დაითესა რამდენიმე მილიონი ჰექტარი — 3-4-ჯერ მეტი, ვიდრე შარშან ამ დროს. მინდვრის სამუშაოთა ტემპები განუწყვეტლივ მატულობს. საკოლმეურნეო სოფელი მთელ ძალღონეს ძაბავს, რათა თესვა სანიმუშოდ ჩაატაროს და უხვი მოსავალი მიიღოს. მან იცის, რომ ეს იქნება ჩვენი ძლიერების, ჩვენი სიმძლავრის მოსავალი!

სოფლად ამჟამად მიმდინარე აღმავლობის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მოწინავე მექანიზატორთა ჯგუფის ვალდებულება, რაც გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა. მასობრივი თესვის წინ მათ მთელი ჩვენი ქვეყნის გასაგონად განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ტრაქტორებისა და კომბაინების მაღალნაყოფიერი გამოყენებით დაეხმარონ კოლმეურნეობებს წარმატებით ჩაატარონ მინდვრის სამუშაოები და უხვი მოსავალი აიღონ.

ახალი ხუთწლედის პირველი წლის გმირულ ქრონიკაში მექანიზატორთა თაოსნობა საპატიო ადგილს დაიკავებს. მათ ეკუთვნოდათ წამყვანი როლი სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების განხორციელებაში ომამდელ ხუთწლედთა წლების მანძილზე, როცა იქმნებოდა ჩვენი მიწათმოქმედების მძლავრი სამანქანო ტექნიკის ბაზა. მათ, მექანიზატორებს, უნდა ეკუთვნოდეთ წამყვანი როლი ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებაში ახალი ხუთწლედის მანძილზეც, როცა სოფლად კვლავ მძლავრ ნაკადად წავლენ ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

საბჭოთა ქვეყანა მტკიცედ მიდის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო საშუაოების სრული მექანიზაციისაკენ. მარტო ერთი ახალი ხუთწლედის მანძილზე ტრაქტორებისა და კომბაინების პარკი ასეულათასობით მანქანით გადიდდება. შეიქმნება ყველა შესაძლებლობა, რათა ძირითადად დამთავრდეს მინდვრის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სამუშაოების მექანიზაცია. მაგრამ ამისათვის მიღწეულ უნდა იქნას მანქანა-ტრაქტორთა პარკის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება.

ტრაქტორებისა და კომბაინების გამოყენების დონის მიხედვით ჩვენმა მიწათმოქმედებამ უკვე დიდი ხანია გაუსწრო კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის უპირატესობას, რომელიც საშუალებას იძლევა ყველაზე დიდი ეფექტით გამოვიყენოთ რთული სამანქანო ტექნიკა. ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ აგრეთვე რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების ოსტატ წამყვანთა მრავალრიცხოვან კადრებს, რომლებიც საკოლმეურნეო მშენებლობის წლებში შეიქმნენ.

მაგრამ შეცდომა იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მანქანა-ტრაქტორთა პარკის მაღალნაყოფიერი გამოყენების პრობლემა უკვე მთლიანად გადაჭრილია. ჩვენ გვჭონდა და ახლაც გვაქვს რთული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნაკლებად გამოყენებული უდიდესი სიმძლავრეები. უფრო მეტიც, ბევრ რაიონში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე მისი გამოყენების დონემ არათუ არ იმატა, არამედ კიდევაც შემცირდა. 1945 წელსაც კი, როცა კოლმეურნეობებში სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობა 20 მილიონი ჰექტარით გადიდდა, ერთი ტრაქტორის საშუალო გამომუშავება ომამდელზე ნაკლები იყო.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ დიდი ნაკლოვანებანი მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენებაში მნიშვნელოვანწილად გამოწვეული იყო ომიანობის დროის სიძნელეებით. მაგრამ ამ ნაკლოვანებათა მარტო სიძნელეებით ახსნა სწორი არ იქნებოდა. ხომ შესძლეს ასობით და ათასობით მოწინავე მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მანქანების გამოყენება ომის ძნელ პირობებშიც. არა, საქმე არა მარტო და არა იმდენად სიძნელეებია, რამდენადაც თვითეული მტს-ის, თვითეული საბჭოთა მეურნეობის მუშაობის ხელმძღვანელობის დონე, მანქანათა პარკის გამოყენების სწორად მოწყობის უნარი.

მანქანათა პარკის ნაწილის არადამაკმაყოფილებელი გამოყენება გავლენას ახდენს ჩვენი მიწათმოქმედების საწარმოო ძალების განვითარებაზე, აფერხებს ნათესი ფართობების ზრდას და მოსავლიანობის გადიდებას. ამის შეწყნარება წინათაც არ შეიძლებოდა. ერთიორად და ერთისამად შეუწყნარებელია ეს ახლა, როცა სოციალისტური სოფლის მეურნეობა შეუდგა მინდვრების მოსავლიანობის ამაღლებისა და ნათეს ფართობთა გადიდების დარგში ხუთწლიანი გეგმის გრანდიოზულ დავალებათა შესრულებას.

მოწინავე ტრაქტორისტებისა და კომბაინერების თაოსნობა, რომლებმაც დიდი ვალდებულებანი იკისრეს, მოწმობს, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მრავალრიცხოვან არმიას სავსებით შეგნებული აქვს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენების გაძლიერებას. თავისი მოვალეობისადმი ნამდვილი სახელმწიფოებრივი მიდგომის ბეჭედი აზის მათს განცხადებას: **„სამშობლომ ჩაგვაბარა ასიათასობით ტრაქტორი და კომბაინი, და მას უფლება აქვს მოგვთხოვოს მათი უნარიანად გამოყენება“.**

მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენებისათვის თავიანთი პასუხისმგებლობის გაზრდილ შეგნებას მოწმობს აგრეთვე იმ სამხრეთი რაიონების ტრაქტორისტთა შრომითი გმირობა, რომლებმაც უკვე დაიწყეს თესვა. გაჩაღებული თესვის ყოველი დღე აქ აღნიშნულია ტრაქტორისტების ნამდვილი ოსტატობისა და შრომითი მამაცობის შესანიშნავი მაგალითებით. სტავროპოლში ბრიგადა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნ. პლოტნიკოვისა, რომელმაც ხელი მოაწერა ვალდებულებას, წარმატებით ასრულებს თავის დაპირებას. 45 ჰექტარის ნაცვლად იგი ყოველდღიურად იძლევა 60-65 ჰექტარს. უკვე ორასორასი, სამას-სამასი და მეტი ჰექტარის გამომუშავება მოასწრეს ყუბანის მოწინავე ტრაქტორისტებმა. აქ 130 ბრიგადირი იბრძვის იმისათვის, რომ ყოველ თხუთმეტძალიანი ტრაქტორით დაამუშაოს სულ მცირე ათასი ჰექტარი, ხოლო 34 ბრიგადირი—იმისათვის, რომ ერთი ტრაქტორით დაამუშაოს 2-3 ათასი ჰექტარი.

თვითეული ტრაქტორის მაღალი გამომუშავებისათვის ბრძოლა ახალი ხუთწლედის პირველი წლის ერთ-ერთი შესანიშნავი მოვლენაა. ამ მოძრაობას ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი, განუწყვეტლივ ვუხელმძღვანელოთ. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში რეკორდი თვითმზანი როდია, არამედ საერთო აღმავლობისათვის ბრძოლის საშუალებაა. შეცდომა მოუვათ იქ, სადაც ერთეულთა რეკორდებს გამოედევნებიან, ხოლო ტრაქტორისტთა და კომბაინერთა მთელ მასას დაივიწყებენ. სწორად უხელმძღვანელო მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მუშაობას—ნიშნავს იმას, რომ ცდილობდე მიაღწიო მანქანა-ტრაქტორთა პარკის მუშაობის საერთო გაუმჯობესებას, თვითეული ბრიგადის, თვითეული კოლმეურნის ძიერ გამომუშავების ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, ამასთან ისე, რომ მუშაობის ხარისხი მაღალი იყოს.

ეს დიდ მოთხოვნებს უყენებს ყველა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციას, ყველა სამიწათმოქმედო ორგანოს. მათ არ შეუძლიათ დასჯერდნენ იმას, რომ ზოგადი მითითებანი მისცენ მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს, თუნდაც ეს მითითებანი დროული და სწორი იყოს. მათი მოვალეობაა დღითიდღე ადევნებდნენ თვალყურს თვითეული მტს-ისა და თვითეული საბჭოთა მეურნეობის მუშაობას, იცოდნენ, რა ხდება იქ, დროულად ეწევდნენ მათ დახმარებას, უზრუნველყოფდნენ შრომის სწორ ორგანიზაციას, აღწევდნენ იმას, რომ თვითეული მანქანა შეუფერხებლივ მუშაობდეს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სატრაქტორო ბრიგადის—მტს-ის ამ ძირითადი საწარმოო ერთეულის განმტკიცებას. ბრიგადაში სწყდება მანქანის გამოყენების წარმატება. სწორედ ბრიგადა უნდა იყოს ადგილობრივ ხელმძღვანელთა განსაკუთრებული ზრუნვის საგანი. სწორედ აქ უნდა გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება ცვლის გამომუშავების ნორმების შესრულებისათვის, სატრაქტორო სამუშაოთა მოკლე ვადებისა და მაღალი ხარისხისათვის, თვითეული მანქანის სანიმუშო ტექნიკური მდგომარეობისათვის.

სოფლის მეურნეობის დარგში ახალი სტალინური ხუთწლედის პირველი წლის გეგმის შესრულებისათვის ბრძოლა ერთ-ერთ ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში შევიდა. მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვის წარმატებანი ბევრად განსაზღვრავენ ჩვენი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ტემპებს. ჩვენ მოგვეპოვება ყოველივე ის, რაც საჭიროა იმისათვის, რომ თესვა სანიმუშოდ ჩავატაროთ. კიდევაც სანიმუშოდ ჩავატარებთ მას, თუ სავსებით გამოვიყენებთ ჩვენი მიწათმოქმედების მთელ ძალებს და უწინარეს ყოვლისა ისეთ მძლავრ ძალას, როგორიც არის უდიდესი მანქანა-ტრაქტორთა პარკი. მაშ ავიყვანოთ მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების სტალინური ხუთწლიანი პროგრამის მოთხოვნათა დონეზე!

„პრავდის“ 6/IV, მოწინავე.

სასპორტო-მსროლელი კლუბების საკავშირო შეჯიბრება

თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა მოაწყოს მაისში სასპორტო-მსროლელი კლუბების საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრება. განცხადება შეჯიბრებაში მონაწილეობის შესახებ უკვე შეიტანა 200-ზე მეტმა მსროლელმა გუნდმა. თბილისის სასპორტო მსროლელ კლუბს გამოჰყავს 6 გუნდი, ქუთაისისას—8, ბათუმისას—4. კომის ასს რესპუბლიკის საპორტო-მსროლელ კლუბებს 25 გუნდი გამოჰყავთ.

შეჯიბრების პროგრამაშია: მცირეყალიბიანი შაშხანის სრლა 50 მეტრზე და საბრძოლო შაშხანისა—300 მეტრზე. შეჯიბრების პერიოდში კლუბების გუნდებსა და წევრებს შორის გათამაშებულ იქნება 1946 წლის საგაზაფხულო პირველობა.

ჩასათვლელი სროლის შესასრულებლად ცენტრალური სასროლო-სასპორტო კლუბი სპეციალურ სანიშნოებს უგზავნის მონაწილეებს.

რეზინის ნაწარმის ქარხნის მშენებლობა

კურსკი, 5 აპრილი. (საკდესი). რიშკოვოში დაიწყო რეზინის ტექნიკური ნაწარძის ქარხნის პირველი რიგის მშენებლობა. ქარხნის მოედანზე სამშენებლო მასალის გარდა მიტანილია დიდძალი მოწყობილობა. დამთავრდა ტექნიკური სადურგლო და საწეინკლო სახელოსნოების მოწყობა.

საასფთიაქო ქსელის განვითარების ხუთწლიანი გეგმა

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში დაზუსტებულია ახალ ხუთწლედში ქალაქებსა და სოფელ ადგილებში სააფთიაქო ქსელის გაშლის გეგმა. უნდა გაიხსნას 1.244 ახალი საქალაქო და 2.277 სასოფლო აფთიაქი. ამ რიცხვში შედის აფთიაქები, რომლებიც აღდგენილ უნდა იქნას განთავისუფლებულ რაიონებში 1950 წლის დამლევს აფთიაქების რაოდენობა გადიდდება 24-ზე მეტი პროცენტით. სააფთიაქო პუნქტების რაოდენობა 22.570-ს მიაღწევს ომამდე არსებული 13.864-ის ნაცვლად.

ყველა აფთიაქი და პუნქტი მომარაგებული იქნება საჭირო საქონლით. (საკდესი).

საანგარიშო-საწერი მანქანების ქარხნის მშენებლობა

**რია

პარტიული ცხოვრება

ვიბრძვით პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის

ეს იყო 15 თებერვალს. ჩვენმა პარტიულძა ორგანიზაციამ ამხანაგ სტალინის წინასაარჩევნო სიტყვასთან დაკავშირებით მტს-ის წინაშე მდგარი ამოცანები განიხილა. კომუნისტებმა მრავალი საყურადღებო წინადადება წამოაყენეს. ეს წინადადებანი ერთ მიზანს ისახავდნენ: კარგად მოგვეწყო ხვნა-თესვისათვის მზადება, ყოველ მხრივ მომზადებული შევხვედროდით მეოთხე ხუთწლედის პირველი წლის გაზაფხულს. მიღებული დადგენილების შინაარსი ასეთი იყო: მთელი ძალების დარაზმვით, სამუშაოთა სწორი განაწილებით ხვნა-თესვის გეგმა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შევასრულოთ, გავწიოთ საწვავი მასალის საერთო ფონდის 10 პროცენტის ეკონომია, სატრაქტორო ბრიგადების ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მივაღწიოთ მოსავლიანობის 15 პროცენტით გადიდებას გასულ წელთან შედარებით.

ძალები გავანაწილეთ, გადამწყვეტ უბნებზე კომუნისტები მივამაგრეთ, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის გაწევას. არჩევნებისათვის მზადების დღეებში მრავალი აგიტატორი გამოიზარდა და დაწინაურდა. საჭირო იყო ამ აქტივის სწორად, გონივრულად გამოყენება.

ყველა სააგიტაციო უბნისათვის გამოცდილი აგიტატორები გამოვყავით. სააგიტაციო მუშაობაში ჩაბმულია მტს-ის დირექტორი, აგრონომი, მექანიკოსი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ტრაქტორისტები, ისინი ვისაც ჩვენს კოლექტივში კარგი ავტორიტეტი აქვთ მოხვეჭილი. ამჟამად გვყავს 13 აგიტატორი. ისინი საუბრებს მჭიდროდ უკავშირებენ საწარმოო საკითხებს, მართალი ბოლშევიკური სიტყვით რაზმავენ მტს-ის მუშაკებს მაღალ საწარმოო წარმატებათა მოპოვებისათვის.

მტს-ის ყველა მუშაკი გულდასმით სწავლობს ამხანაგ სტალინის სიტყვას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებულ კანონებს, როგორც ჩვენი შრომისა და ბრძოლის დიად პროგრამას. ყველა სატრაქტორო ბრიგადაში ტარდება მეცადინეობა სტალინის სიტყვის შესასწავლად.

პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად ამოწმებს აგიტატორთა მუშაობას, კომუნისტებისათვის მიცემულ დავალებათა შესრულებას. ამ შემოწმების მიზანია: განხორციელდეს პარტიული კრების მიერ დასახული ღონისძიებანი, მტს-მა წარმატებით შეასრულოს ყველა დავალება.

ჩვენი მტს-ი არა მარტო გორის რაიონშია მოწინავე, იგი ცნობილია მთელს რესპუბლიკაში. კარგად დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის, ორგანიზებულობის შედეგი იყო ის, რომ მტს-მა გასული წლის გეგმა 125 პროცენტით შეასრულა, გაწეულ სამუშაოთა თვითღირებულება 13 პროცენტით შეამცირა და 14.681 კილოგრამი საწვავის ეკონომია გასწია.

ახლა კიდევ მეტი ნაყოფიერებით მუშაობს ჩვენი კოლექტივი. ტრაქტორებისა და მისაბმელი დარაღ-მანქანების რემონტის გეგმა ვადამდე შესრულდა. შეკეთების ხარისხიც კარგია. ადგილობრივ სახელოსნოში დამზადებულ იქნა 37.546 მანეთის სათადარიგო ნაწილები. ამიტომაც საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავთან დაკავშირებით მტს-ის დირექტორი ამხ. კ. აბალაკი დაჯილდოებულია ორდენით, ხოლო ტრაქტორისტი შ. ზუმბულიძე მედლით.

სატრაქტორო ბრიგადები მაღალნაყოფიერად მუშაობენ. გეგმების შესრულებაში და რემონტის საქმეში თავი ისახელა მეოთხე ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი გ. მარღიშვილი ხელმძღვანელობს. კარგად მუშაობს მესამე ბრიგადაც (ბრიგადირი პარტიის წევრობის კანდიდატი ა. მაზნაშვილი). მოწინავენი არიან ა. თვაურის, ბატონისაშვილის, ს. კურიანოვის სატრაქტორო ბრიგადები. შრომის მაღალნაყოფიერებას აღწევენ ტრაქტორისტები შ. ზუმბულიძე, ვ. ნარიკაევი, გ. სათაშვილი, გ. აკოფაშვილი და სხვები.

მტს-ის მიერ მოპოვებული წარმატებანი იმითაც აიხსნება, რომ პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობს მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას და თანმიმდევრულად იბრძვის საკუთარ დადგენილებათა განხორციელებისათვის.

წინ წავწიოთ საარტელო მეურნეობის ყველა დარგი, მივცეთ ჩვენს სამშობლოს მეტი პური, შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები—ასეთია მთელი ჩვენი მტს-ის კოლექტივისა და მისი პარტიული ორგანიზაციის ამოცანა.

ამ ამოცანის განხორციელების უზრუნველსაყოფად ჩვენ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანთ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, თანმიმდევრულად, შეუნელებლად ვიბრძოლებთ ამხანაგ სტალინის მიერ დასახული პროგრამის, სესიის მიერ მიღებული კანონების განუხრელად გატარებისათვის.

ლ. უგილავა

ახალსოფლის მტს-ის პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

განა ასე უნდა ბრძოლა უხვი მოსავლისათვის?

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები აჭარის ასს რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნელი ტემპით მიმდინარეობს, რაც გამოწვეულია არა მარტო უამინდობით, არამედ უმთავრესად შრომის მოუწესრიგებლობით და დისციპლინის გაუმტკიცებლობით. ჩამორჩენაა ხვნის, ტექნიკურ კულტურათა მოვლა-პატრონობის სამუშაოების და ახალი პლანტაციების გასაშენებლად ნიადაგის მომზადების დავალებათა შესრულებაში.

შარშან ზოგიერთმა კოლმეურნეობამ ძალიან დაბალი მოსავალი მიიღო. ბათუმის რაიონის ანდრეევის, ქობულეთის რაიონის მიქოიანისა და კომკავშირის, ქედის რაიონის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობებში სიმინდის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე მხოლოდ 1,5 ცენტნერს შეადგენდა. ხულოს რაიონის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში თვითეულ ჰექტარზე მხოლოდ 25 ცენტნერი კარტოფილი მიიღეს. მრავალმა კოლმეურნეობამ იმდენი მოსავალი ვერ მოიყვანა, რამდენი თესლიც დახარჯა. ამის გამო შრომადღის ღირებულებაც შემცირდა. ქობულეთის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობამ შრომადღეზე გასცა 134 გრამი სიმინდი, ბათუმის რაიონის ანდრეევის სახელობისამ კი—550 გრამი. აგროწესები რომ დაეცვათ და გეგმით გათვალისწინებული საჰექტარო მოსავალი მიეღოთ, აჭარის კოლმეურნეობებში შრომადღეზე საშუალოდ განაწილდებოდა არა 728 გრამი სიმინდი და 999 გრამი კარტოფილი, როგორც ეს ფაქტიურად იყო, არამედ 1,7 კილოგრამი სიმინდი და 2,8 კილოგრამი კარტოფილი.

წელს აჭარის კოლმეურნეობებში 14.766 ჰექტარი ერთწლიანი კულტურები დაითესება, აქედან სიმინდი 10.550 ჰექტარი და კარტოფილი 2.550 ჰექტარი. ბევრ კოლმეურნეობაში მეორდება გასული წლის შეცდომები, გაჭიანურდა ხვნა. არის სამუშაო დღეების უმიზეზოდ გაცდენებიც. 1 აპრილისათვის აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებს 8 070 ჰექტარიდან მხოლოდ 550 ჰექტარი ჰქონდათ მოხნული, რაც გეგმის 6,8 პროცენტს შეადგენს. ხულოს რაიონში ხვნის გეგმა შესრულებული იყო 1,5 პროცენტით, ქობულეთში—7, ქედაში—16 და ბათუმის რაიონში—21,7 პროცენტით. სრული დატვირთვით არ იყენებენ გამწევ ძალას. ქობულეთის რაიონის 39 კოლმეურნეობიდან ხვნას 8 შეუდგა და მათგან მუშა საქონლით მხოლოდ 2 კოლმეურნეობა ხნავს, 250 უღელი ხარიდან ხვნაზე გამოყვანილია 8 უღელი. ქობულეთის მტს-ი გაზაფხულს მზად ვერ შეხვდა. ტრაქტორები შეუკეთებელია, აკლიათ საწვავი. ტრაქტორებით დღიურად მხოლოდ 12 ჰექტარს ხნავენ. ბევრგან შესრულებული სამუშაოს ხარისხიც ცუდია. ბათუმის რაიონის კიროვის, ვოროშილოვისა და წითელი ოქტომბრის, ქობულეთის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობებში 8-10 სანტიმეტრის სიღრმეზე ხნავენ, ნაცვლად 16-18 სანტიმეტრისა. ყველა კოლმეურნეობას არა აქვს ლაბორატორიულად შეძოწმებული თესლი. მაგალითად, თესლი აკლია ბათუმის რაიონის კაგანოვიჩის და ხულოს რაიონის ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობებს. ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურების თესვა ქობულეთის, ხულოსა და ქედის რაიონებს არ დაუწყიათ, ხოლო ბათუმის რაიონს გეგმა ძხოლოდ 2 პროცენტით აქვს შესრულებული. ხვნა-თესვაში ჩამორჩენა გამოწვეულია შრომის დისციპლინის შესუსტებით. ქობულეთის რაიონის სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობის ზოგიერთი წევრი უმიზეზოდ აცდენს სამუშაო დღეებს. გამცდენთ არ აჯიან. ბათუმის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში 1 იანვრიდან 2 მარტამდე უმიზეზოდ გაცდენილია 1.260 კაც-დღე.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ტექნიკური კულტურების მოვლა-პატრონობის დარგში. ქობულეთის რაიონი ჩამორჩა ჩაის პლანტაციების გადაბარვაში. ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობას გადასაბარავი აქვს 88 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, კიროვის სახელობის კოლმეურნეობას—8, წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობას—11 ჰექტარი. ჩაის ბუჩქების გასხვლა-გაფორმების გეგმა ქობულეთის რაიონში შესრულებულია 76 პროცენტით, ბათუმის რაიონში კი 63 პროცენტით. აზოტოვანი და ფოსფოროვანი სასუქები ორივე რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისა 5.114 ჰექტარიდან 2.141 ჰექტარ პლანტაციაშია შეტანილი. ნელი ტემპით სწარმოებს ჩაის პლანტაციების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, ბალახებისაგან გაწმენდა, ცოცხალი ღობეების მოწყობა, წყალგამტარი და წყალსაწრეტი არხების გასუფთავება. ეს სამუშაოები კი 15 მარტამდე უნდა დაემთავრებიათ. ზოგან უხეშად არღვევენ აგროწესებს და პლანტაციები ხელმეორედ დასამუშავებელია. მაგალითად, ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობაში პლანტაციების გადაბარვისას ჩაის ბუჩქების ირგვლივ ხელუხლებლად დასტოვეს ნიადაგი, სასუქი კი ბუჩქების დაშორებით მიმოაბნიეს. ასევე არღვევენ აგროწესებს დივეზიის სახელობის კოლმეურნეობის პირველი და კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადები. ქობულეთის რაიონის წითელი არმიისა და კიროვის სახელობის კოლმეურნეობებიდან ჩაის პლანტაციებში სამუშაოდ ერთხელაც არ გასულა 59 კოლმეურნე. ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობას 22 მუდმივი მუშა ჰყავს და მასაც ინტენსიურად ვერ იყენებს, მაშინ როცა მეურნეობის კანტორაში 27 მოსამსახურეა და მათზე ყოველთვიურად 27.000 მანეთი იხარჯება.

ციტრუსოვან კულტურათა ახალი პლანტაციების გასაშენებლად ნიადაგის მომზადებაში ჩამორჩნენ ბათუმის რაიონის ბერიას და მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობები, ქობულეთის რაიონის კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობა. ეს სამუშაო მათ 1 აპრილამდე 4-10 პროცენტით ჰქონდათ შესრულებული.

ციტრუსოვან კულტურებს გულისხმიერად არ უვლიან ქობულეთის რაიონის მიხაილოვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ქარმა, ყინვამ და პირუტყვმა გაანადგურა 18.000 ძირი ციტრუსოვანი მცენარე. ასეთივე მდგომარეობაა კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზეც. ციხისძირის სასოფლო საბჭოს მცხოვრებ ხალვაშის საკარმიდამო ნაკვეთზე მოუვლელობის გამო გასულ ზამთარში 52 ძირი ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი გახმა.

გაჭიანურდა ციტრუსოვანთა პლანტაციების გადაბარვა. ახალშენის საბჭოთა მეურნეობასა და ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მესამე უბანში ეს სამუშაო დაბალი ხარისხით ჩაატარეს: მიწა მცენარეთა ირგვლივ შემობარეს, ტერასების მთლიანად გადაბარვის ნაცვლად. ყურადღება არ ეთმობა ხმელი ტოტებისა და ხავსისაგან ლიმონის ხეების გაწმენდას. 5.256.000 ძირი ციტრუსიდან 1 აპრილამდე შეწამლული იყო 1.981.000 ძირი. წამლობას არ შესდგომიან ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნა“, „ვილარის“ საბჭოთა მეურნეობა და ბათუმის რაიონის ახალშენის საბჭოთა მეურნეობა. შეუკეთებელია შესაწამლავი აპარატები. არ დაუწყიათ ტუნგოს პლანტაციების გადაბარვა და სასუქის შეტანა. ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში ტუნგოს პლანტაციების აღდგენის გეგმა შესრულებულია 21 პროცენტით, პლანტაციებში სასუქის შეტანისა კი 3,5 პროცენტით. მივიწყებულია ბამბუკის ახალი პლანტაციების გასაშენებლად ნიადაგის მომზადება, ხურმისა და წიწვოვანების თესვა.

განა ასე უნდა ბრძოლა უხვი მოავლისათვის?

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხზე საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტში ამ დღეებში ჩატარდა თათბირი. ჩამორჩენილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მკაცრად იქნენ გაკრიტიკებულნი. დაისახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა უსწრაფესად გამოსწორებისათვის.

აჭარის ასს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისა და კოლმეურნეთა მთავარ ამოცანას წარმოადგენს განუხრელად განახორციელონ დასახული ღონისძიებანი, რომ მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველ წელს მოიყვანონ მაღალი მოსავალი და გადაჭრით გააუმჯობესონ სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების მოვლა.

კ. რუსიშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ფოთოდ გაჩაღდა მისდვრად მუშაობა კოლმეურნეობებში, რომლებსაც მომსახურებას უწევს პეტროვსკის მტს-ი, სადაც დირექტორია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ა. ტ. ბელოუსოვი. სურათზე: № 5 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ფ. პ. ლისენკო (მარცხნივ) და ტრაქტორისტი პ. ს. ბურიაკი ზომავენ ხნულის სიღრმეს.

ფოტო გ. არაქელიანისა (საკადრის ფოტოქრონიკა)

ამბროლაურელ მევენახეებთან

მოწინავე კოლმეურნეობებში დროულად გაჩაღდა ვენახის საგაზაფხულო სამუშაოები: სხვლა, ბარვა, აკვრა, მეჩხერი ადგილების შევსება, სასუქის შეტანა.

კარგად მუშაობს სოფელ სადმელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე გრ. ჭელიძე). სადმელელებმა ვენახებში გაიტანეს 2 ათასი ურემი ნაკელი, საკმაოდ დაამზადეს სარი, მოამზადეს 30 მსხვილი და 20 ძყნობელი, ადრე გაზაფხულზე ჩაატარეს ვაზის ტანის გაწმენდა. შეავსეს მევენახეთა სპეციალური ბრიგადები და რგოლები. აჟამად მიმდინარეობს ვენახების გათოხნა და დაბარვა. 53 ჰექტარიდან ნახევარზე ბევრად მეტი დამუშავებულია. ძეჩხერი ადგილების შესავსებად კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს 7 ათასი ძირი ვაზი. გეგმის გადამეტებით აქ აშენებენ 2 ჰექტარ ახალ ვენახს. ამ მიზნით დროულად მოამზადეს ნიადაგი. სათბურში გამოიყვანეს ნერგი. შარშან 48 ათასი ძირი ვაზი დაამყნეს და 60 პროცენტამდე გაახარეს, წელს კი 100 ათას ძირს ამყნიან. განსაკუთრებით ბეჯითად ძუშობენ მევენახე კოლმეურნეები ალექსი კერესელიძე, ე. ოშხერელი, გ. ჭელიძე. ისინი კარგად არიან დაუფლებული ვაზის მოვლის წესებს და საერთო საქმისათვის ენერგიას არ იშურებენ. დემობილიზებულები აპოლონ კერესელიძე, ჭიჭიკო მეტონიძე, შალვა მუსერიძე დღიურ დავალებებს 200-250 პროცენტით ასრულებენ.

ასევეა სოფელ ღვიარის კოლმეურნეობა „პირველ ნაბიჯშიც“ (თავმჯდომარე ფილიმონ გორგასლიძე). სხვლა, შესარვა, ღობარვა და მეჩხერი ადგილების შევსება კოლმეურნეობამ უკვე დაამთავრა. ახლა კოლმეურნეები იბარაგებენ კირს, მოიტანეს 1.000 კილოგრამი შაბიამანი, არემონტებენ ვენახის შესაწამლავ იარაღ-მანქანებს.

წარმატებით სრულდება აგრეთვე ვენახის სამუშაოები სოფელ ხვანჭკარის ლენინისა და სოფელ კვაცხუთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში.

სოფელ გორი-ამბროლაურის კოლმეურნეობაში ვაზის სხვლა უცოდინარებს მიანდეს. ვენახი ხელახლა გასასხლავია. კოლმეურნეობას ვენახის დაბარვა არც კი დაუწყია. შრომა არ არის მოწესრიგებული. მეუშახელი ცდება. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ბოსტანის კოლმეურნეობაში.

ვ. ვაჩაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

ჯყიბულელთა გამოწვევა მიღებულია

ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტმა შეასრულა მარტის გეგმა

ტყვარჩელი („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). ტყიბულელი მეშახტეების მოწოდებამ მეტი ქვანახშირის მოპოვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ საყოველთაო მოწონება და შრომითი ენტუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია ტყვარჩელში. ამ მოწოდების განხილვას მიეძღვნა მეშახტეთა აიერთო კრებები ყველა უბანზე ცალკეს მიხედვით. მეშახტეებმა ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს, რათა უზრუნველჰყონ გამარჯვება ტყიბულელებთან შეჯიბრებაში და მიაღწიონ კიდევ უფრო მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს, ვიდრე შარშან ჰქონდათ.

ტყიბულელების გამოწვევის პასუხად ყველა უბანზე და ლავში მაღალნაყოფიერი შრომა გაჩაღდა. ამის შედეგია, რომ ქვანახშირის ამოღების მარტის საწარმოო დავალება ტყვარჩელელებმა ვადაზე ორი დღით ადრე 100 პროცენტით შეასრულეს. განსაკუთრებით დაწინაურდა ინჟინერ ა. ჭირაქაძის უბანი, რომელმაც ყველაზე მეტი გადაჭარბებით შეასრულა თვიური დავალება. მეორე ადგილზეა მე-9 საექაპლატაციო უბნის კოლექტივი, რომელსაც ვ. ბარანოვი ხელმძღვანელობს.

მძლავრი შრომითი აღმავლობის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ იანვარში ტყვარჩელელები ჩამორჩენილი იყვნენ, პირველი კვარტალის საწარმოო დავალება მათ საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს.

ა. ლეფთერიძე

მანქანათმშენებელთა მაჩვენებლები

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდნენ სტახანოველი მეჭედლები ვ. კორძაძე და ლ. ანდრიაშვილი. ისინი დგანან ამჟამად შეჯიბრების სათავეში და ყველაზე უკეთეს საწარმოო მაჩვენებლებს იძლევიან. მათს მაგალითს ბაძავენ სხვა მეჭედლებიც, რომლებმაც შეაამჩნევად გაზარდეს თავიანთი შრომის ნაყოფიერება. ამის შედეგად ქარხნის სამეჭედლო საამქრომ, რომელსაც ინჟინერი ვ. კაპანაძე ხელმძღვანელობს, მარტის საწარმოო დავალება გადაჭარბებით შეასრულა.

შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა ზეინკლებმა და ლითონმსხმელებმა. მარტში საუკეთესო მაჩვენებლებს გვაძლევდნენ ზეინკლები შორის ი. ხარგალაძე და ხოროშილოვი, ხოლო ლითონმსხმელებს შორის ამხ. ხახუტაშვილი და ჩიტაიშვილი. ბრიგადებს შორის ყველას გაუსწრო ლითონმსხმელ კომკავშირელთა ბრიგადამ, რომელსაც ჯ. ესოევი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ მარტის საწარმოო დავალება 450 პროცენტით შეასრულა. საზეინკლო ბრიგადებს შორის ჯერჯერობით პირველობა მოპოვებული აქვს გ. ხეჩუაშვილის კომკავშირულ ბრიგადას. ბრიგადაში მაღალნაყოფიერი შრომით გამოირჩევიან გ. ბებიაშვილი, ვ. ტაბლაშვილი და ვ. კაპაჩი. ისინი ყოველდღიურ დავალებებს 350-400 პროცენტით ასრულებენ.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში მანქანათმშენებლებმა რამდენიმე ახალი რაციონალიზატორული ღონისძიება განახორციელეს. ერთ-ერთი ასეთი წინადადება, რომლის ავტორიც მ. აკოფოვია, ამჟამად ხორციელდება და შეეხება ტრანსპორტერების ცალკე ნაწილთა დამუშავების გაადვილებას. ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად ქარხანა ყოველწლიურად 40.000 მანეთის ეკონომიას მიიღებს.

ლ. ესეშვილი

უნარიანი მუშაობის შედეგი

ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხანას უკანასკნელ წლებში მუდამ ჩამორჩენა ჰქონდა. 1946 წლიდან ქარხანაში უკეთ დაიწყეს მუშაობა და მოკლე ხანში წარმატებაც მოიპოვეს.

როგორ მიაღწია ქარხნის კოლექტივმა ჩამორჩენის აღმოფხვრას?

ქარხნის ნორმალურ მუშაობას ძალიან აფერხებდა წყლის ჩამომსხმელი საამქროს მოუწყობლობა. სარეცხი და ჩამომსხმელი მანქანები, საერთოდ მთელი საამქრო საფუძვლიან შეკეთებას საჭიროებდა. დირექციამ მთელი კოლექტივი დარაზმა ჩამომსხმელ საამქროს რემონტის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. ეს სამუშაო გათვალისწინებულ ვადამდე 11 დღით ადრე დამთავრდა. საამქროში ახლა ყველაფერი რიგზეა.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი იყო ქარხნის მუშათა კვალიფიკაციის აძაღლება. ტექმახიმუმის წრეს სათანადოდ გარდაქმნა მუშაობა. წრეში გაერთიანეს ყველა ისინი, რომელთა კვალიფიკაციის ამაღლება აუცილებელი იყო. მუშებს კვალიფიკაციის ამაღლებაში კარგად ეხმარებოდნენ ნ. ლურსმანაშვილი, მ. ბლიაძე, დემობილიზებული პ. გელაშვილი და ვ. შენგელია.

ქარხანაში არასაკმაო ყურადღება ექცეოდა სოციალისტური შეჯიბრების გაშლას. ამ მხრივაც გაუძღომებულდა მდგომარეობა. შეჯიბრების ხელმძღვანელობის ინიციატორად გამოვიდა ქარხნის პარტიული ორგანიზაცია. შემოღებულ იქნა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის სისტემატური შემოწმება, შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წახალისება და მათი დაჯილდოება, რამაც კარგი შედეგი მოიტანა.

მიღებულ ღონისძიებათა შედეგად ქარხანამ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება ოთხი დღით ადრე შეასრულა და სამშობლოს მისცა 496.000 ლიტრი საუკეთესო ხარისხის ბორჯომის წყალი.

ქარხნის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ მომავალში კიდევ უფრო გაადიდოს ძვირფასი სამკურნალო წყლის გამოშვება.

ვ. გელაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

აქ კურორტი უნდა მოეწყოს

თბილისიდან ქინვალამდე (დუშეთის რაიონი) ავტობუსით საათნახევრის გზაა, აქედან მაღაროსკარამდე (ფშავის ცენტრი)—20 კილომეტრი, ხოლო მაღაროდან ვაჟა-ფშაველას სოფელ ჩარგალამდე—7 კილომეტრი. ამ გზის ბოლოს. ბეშახევაზე, კლდეში ამოდუღა მინერალური წყარო, ვაჟას წყაროდ წოდებული. აქედან 3 კილომეტრის დაშორებით სოფელ კაწალხევში არის ამავე ტიპის წყაროები.

ორივე ადგილას სამკურნალოდ მოდიან ალმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონებიდან. მკურნალობენ რევმატიზმებით, სისხლნაკლებობით, ფილტვების სისუსტით, კუჭ-ნაწლავების, საშარდე სისტემის ავადმყოფობით დაავადებულნი. აქ არაა არც საექიმო დახმარება და არც მოწყობილი აბანანები, მაგრამ მკურნალობა ამ პიროებებშიც კარგ შედეგს იძლევა.

წყლის დებიტი ბეშახევაზე 9.360 ლიტრია, ხოლო კაწალხევში 15-ჯერ მეტი. როგორც საქართველოს სარკურორტთა მთავარ სამმართველოს 1940 წლის გამოკვლევიდან სჩანს, ეს წყლები უმთავრესად შეიცავენ: კალციუმის და ნატრიუმის მარილებს, სოდას, რადიუმს, რკინის ბიკარბონატს, ერთ ლიტრზე ორ გრამამდე ნახშირმჟავას და სხვ. სასმელად გემრიელი წყალია, ზომიერად ცივი.

კაწალხევში 1-2 კილომეტრის მანძილზე 5 ადგილზეა სხვადასხვა ტიპის მეკავე წყლები: გუდარახელთ წისქვილებთან, გიმხევაზე ორგან, თვარელათ წისქვილთან, ძიბლათკარში.

კაწალხევისავე ტერიტორიაზე არაგვის მარცხნივ გოგირდ-მარილიანი 4 ტიპის მლაშე წყლებია, რომლის დებიტი წისქვილს დააბრუნებს. ამ წყალს წარმატებით ხმარობენ ადამიანისა და საქონლის მქავანა-მღიერის, ქეცის და კანის სხვა დაავადების სამკურნალოდ.

ბეშახევაზე, ვაჟას წყლის ახლოს, არაგვის მარცხენა მხარეა ნახევარ-ნახევარი კილომეტრის დაშორებით 4 ტიპის წყაროა, ხოლო ძარჯვენა მხარეა გუდარახის ძირს არის ახლად აღმოჩენილი გოგირდოვანი მეკავე წყალი.

ფშავში, როგორც ახვა ბუნებრივი სიმდიდრენი, არც მინერალური წყაროებია შეაწავლილი დეტალურად. ამ წყაროების რაიონი მდიდარია მთის ჯანსაღი ჰავით. სოფელ კაწალხევში არის წიწვიანი ტყეები, ზღვის დონიდან 1.100-დან 1.200 მეტრზეა, წლიური საშუალო ტემპერატურა (11°) ზომიერად თბილია.

საჭიროდ მიგვაჩნია ბეშახევასა და კაწალხევში მოეწყოს კურორტი, რასაც ხელს უწყობენ აქ გაყვანილი საავტომობილო გზატკეცილი, ამრეწველო ცენტრების სიახლოვე, საძკურნალო თვისებებიანი ჰაერი, სურათ-სანოვაგით მდიდარი სოფლები. კურორტთა სამმართველომ ან პროფკავშირებმა უნდა იკისრონ ეს საქმე.

ი. ხორნაული

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლები დასჯილია

„კომუნისტის“ რედაქციაში შემოსული იყო კორესპონდენცია, რომლის ავტორიც გვაცნობებდა, რომ ლაგოდეხის რაიონის სოფელ განათლების რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. მარღიევი და მოანგარიშე შ. ბურჯანაძე საკოლმეურნეო ქონებას ანიავებენ.

კორესპონდენცია შესამოწმებლად და საჭირო ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომს. როგორც რაიკომის მდივანი ამხ. შ. ნუცუბიძე გვატყობინებს, კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. სოფელ განათლების რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ქონების განიავებისა და მითვისებისათვის თავმჯდომარე ა. მარღიევი და მოანგარიშე შ. ბურჯანაძე მიცემული არიან პასუხისგებაში. კოლმეურნეთა საერთო კრებას რჩევა მიეცა კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან მოხსნას ა. მარღიევი.

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

3 აპრილის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 3 აპრილი. (საკ.). ტრიბუნალის 3 აპრილის მთელი საღამოს სხდომა მოუნდა ბრალდებულ კაიტელის ჩვენების მოსმენას. ჰიტლერული გერმანიის მეთაურის ეს უახლესი სამხედრო თანამეზრე, პასუხს აგებს რა საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე, ყოველნაირად ცდილობს ისე დასახოს საქმე, თითქოს იგი ჰიტლერის ნების მხოლოდ ტექნიკური შემსრულებელი ყოფილიყოს, თავის ურთიერთობას ჰიტლერთან იგი ახასიათებს, როგორც უმაღლესი სამხედრო უფროსისა და მის ხელქვეითთა ურთიერთობას. ამასთან იგი სჩივის, რომ ჰიტლერი გენერლებს დიქტატორული მეთოდებით ეპყრობოდა, და ბევრს ლაპარაკობს იმაზე, თითქოს მან ჰიტლერის წყრომაც კი დაიმსახურა იმისათვის, რომ გაბედა გაკრიტიკებული ბერლინების დაცვა.

ბრალდებული, რასაკვირველია, უარჰყოფს თავის მონაწილეობას ჰიტლერის სამხედრო გეგმების დამუშავებაში. იგი აშკარად თავს ისაწყლებს, როცა თავის როლს განსაზღვრავს სხვადასხვა დოკუმენტებისა და მასალების შერჩევით, რომლების საფუძველზეც ჰიტლერი ამა თუ იმ გადაწყვეტილებას იღებდა.

კაიტელი ირწმუნება, თითქოს იგი არ იყო საიმპერიო მთავრობის წევრი და რომ მას მხოლოდ მინიჭებული ჰქონდა საიმპერიო მინისტრის „თანაბარმნიშვნელოვანი“ მდგომარეობა. მაგრამ კაიტელი ვერ ფარავს, რომ იგი შედიოდა მინისტრთა საიდუმლო კაბინეტისა და თავდაცვის საიმპერიო საბჭოს შემადგენლობაში. ამ ფაქტის მნიშვნელობა რომ შეამსუბუქოს, იგი აცხადებს, თითქოს ამ ორგანოებს არასოდეს არ ჰქონიათ სხდომები. ამასთან კაიტელს არ აწუხებს ის გარემოება, რომ ბრალდებამ წარადგინა ამ ორგანოთა სხდომების ოქმები.

ბრალდებული ტრიბუნალის წინაშე გულმოდგინედ თამაშობს შემსრულებელი ჯარისკაცის როლს, რომელსაც ვითომ არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა პოლიტიკასთან. იგი ცდილობს დაარწმუნოს ტრიბუნალი, რომ მისი კონტაქტი სხვადასხვა სამინისტროებთან წმინდა ტექნიკური ხასიათისა იყო და რომ მისი კავშირი საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მხოლოდ იმით განისაზღვრებოდა, რომ მიეღო საზღვარგარეთ მყოფ ატაშეთა მოხსენებანი.

მაგრამ, როგორც კაიტელი სხვა კითხვაზე პასუხის გაცემისას აღიარებს, მისთვის „ნათელი იყო, რომ რაიხსკანცლერის პოსტზე ჰიტლერის დადგომის დღიდან ჯარისკაცებმა მიიღეს სხვა საიმპერიო ხელმძღვანელობა“, და რომ გერმანიის სამხედრო ხროვა მიესალმა ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის ჩადგომას.

„უნდა ვაღიარო,—ამბობს კაიტელი,—რომ მე ვიცნობდი გეგმებსა და განზრახვებს შეიარაღების შესახებ და მივესალმებოდი ყველა ღონისძიებას, რომლებიც ამ მიმართულებით ტარდებოდა“. როგორც ბრალდებული აღიარებს, მან კარგად იცოდა, რომ ეს ღონისძიებანი არ შეეაბამებოდნენ გერმანიის მიერ ვერსალის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

ბრალდებული აცხადებს, რომ პირველი საუბარი ჰიტლერთან მას ჰქონდა 1938 წელს, მას შემდეგ, რაც გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის უფროსის პოსტი მიიღო. მიუხედავად ამისა, მან იცოდა, რომ „ჰიტლერს განზრახული ჰქონდა დაეგმაყოფილებინა გერმანიის ტერიტორიული პრეტენზიები“ სამხედრო საშუალებებით. იგი აქტიურად მუშაობდა გერმანიის შეიარაღებული ძალების შესაქმნელად, რომელიც შესძლებდნენ თავი გაერთმიათ „ტერიტორიულ დავათა“ გადაჭრის ამოცანისათვის.

კაიტელის დაკითხვის გაგრძელება გადატანილია 4 აპრილის დილის სხდომისათვის.

4 აპრილის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 4 აპრილი. (საკ.). ტრიბუნალის 4 აპრილის დილის სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ კაიტელის დაკითხვა. ჩვენებაში, უპასუხებს რა დამცველ ნელტეს შეკითხვებს ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმის გეგმების შესახებ, ბრალდებული ამტკიცებს, რომ ამ ქვეყანაზე თავდასხმის შესახებ მან თითქოს მოულოდნელად გაიგო, ვინაიდან „ყველაფერი ძალიან სწრაფად მიმდინარეობდა“. მაგრამ შემდგომი ჩვენებიდან ცხადი ხდება, რომ კაიტელმა შეიმუშავა ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმის გეგმა.

განაგრძობს რა ჩვენების მიცემას, ბრალდებული არ უარჰყოფს, რომ მან ჰიტლერის მოთხოვნით ჩეხოსლოვაკიაში მიავლინა პოდპოლკოვნიკი კესლინგი ჩეხიის ცნობილ ჰიტლერელ ჰენლაინთან კავშირის დასამყარებლად.

კაიტელი განუწყვეტლივ ცდილობს ხაზი გაუსვას, რომ ის მხოლოდ „ჯარისკაცი“ იყო. რომ იგი თითქოს მონაწილეობას არ იღებდა რიგმე პოლიტიკურ მოლაპარაკებში და როდესაც მას უხდებოდა პოლიტიკურ თათბირზე ყოფნა, იგი იქ თითქოს ასრულებდა მხოლოდ ისეთი ადამიანის როლს, რომელიც „ღებდა და მიესალმებოდა უცხო სახელმწიფოებიდან ჩამოსულ სტუმრებს“.

გადადის რა პოლონეთის წინააღმდეგ აგრესიის შესახებ ჩვენების მიცემაზე, ბრალდებული კაიტელი აღიარებს, რომ მასთვის ცნობილი იყო დანციგისა და დანციგის კორიდორის ხელში ჩაგდების გეგმები. მისთვის ცნობილი იყო აგრეთვე პოლიტიკური მოლაპარაკება, რასაც ადგილი ჰქონდა „დანციგის პრობლემის“ გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

გერმანიის მოთხოვნებს პოლონეთისადმი ბრალდებული ახლაც კი ისე აფასებს, როგორც „პატიოსნურს“.

დამცველი ნელტე ბრალდებულს გადასცემს დოკუმენტს, რომელშიც ლაპარაკია ჰაიდრიხისათვის პოლონური მუნდირების მიცემის შესახებ პოლონეთის საზღვარზე პროვოკაციული ინციდენტის მოწყობის მიზნით, და სთხოვს კაიტელს დაადასტუროს ამ დოკუმენტის სისწორე.

კაიტელი აღიარებს, რომ ჩანაწერი მისი საუბრისა ადმირალ კანარისთან პოლონური მუნდირების შესახებ ნამდვილად სწორია და რომ ეს მუნდირები სჭირდებოდათ „რომელიღაც არაოფიციალური ღონისძიებისათვის“. ამ აღიარებით იგი ბრალდებულთა და დაცვის აშკარა უკმაყოფილებას იწვევს.

დამცველის შეკითხვის პასუხად, არსებობდა თუ არა უთანხმოება ჰიტლერსა და გენერალიტეტს შორის დასავლეთისაკენ შეტევის საკითხში, რომელსაც უნდა დაერღვია მთელი რიგი ქვეყნების ნეიტრალიტეტი, კაიტელი აღიარებს, რომ უთანხმოება ერთი მხრივ მასა და გენერალიტეტს და მეორე მხრივ ჰიტლერს შორის ადგილი ჰქონდა მხოლოდ შეტევის ვადების საკითხში.

ჩვეულებრივი ათწუთიანი შესვენების შემდეგ დამცველი ნელტე გადადის ბრალდებულის დაკითხვაზე საბერძნეთსა და იუგოსლავიაზე გერმანელთა თავდასხმის შესახებ. ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას კაიტელმა გადასწყვიტა საკუთარი თავისათვის ეკობნა სიცრუეში. აქამდე იგი ყველაფერს ჰიტლერს აბრალებდა. ახლა გადასწყვიტა საბერძნეთზე თავდასხმისათვის ბრალი მუსოლინისათვის დაედო. ჰიტლერი ვითომდა „დაყენებულ იქნა მოქხდარი ფაქტის წინაშე. საბერძნეთზე უეცარ ავაზაკურ თავდასხმას ბრალდებული კაიტელი „იმპროვიზაციას“ უწოდებს. შეკითხვაზე, როგორია იყო საქმე „მარიტას“ გეგმისა, რომელიც სასამართლოს წარედგინაო, კაიტელი თავის დაძვრენას ცდილობს და უპასუხებს, რომ დაიწყეს ვითომდა „იმპროვიზაციით“, ხოლო როდესაც ბალკანეთში საომარი მოქმედება განვითარდა, შეადგინეს „მარიტას“ გეგმა.

დამცველი ნელტე მიჰყვება მოვლენათა კალენდარს და ეუბნება საბჭოთა კავშირზე ჰიტლერელთა ვერაგული თავდასხმის საკითხს.

საათნახევრის განმავლობაში დამცველი და ბრალდებული თამაშობენ წინასწარ რეპეტირებულ კომედიას. მათ მიზნად დაისახეს, ერთი მხრივ, დაეცვათ ცნობილი ცრუ ჰიტლერული პროპაგანდისტული ვერსია ამ თავდასხმის მიზეზების შესახებ და, მეორე მხრივ, სუფთად გამოეყვანათ ბრალდებული კაიტელი, რისთვისაც შეეცადნენ საქმე ისე დაესახათ, თითქოს მხოლოდ ჰიტლერს მიუძღვის ბრალი ამ დანაშაულებრივი ავანტიურის წამოწყებაში, კაიტელი კი მხოლოდ მონურად ბორჩილი აღმსრულებელი იყო.

კაიტელი წინდაწინვე ცდილობს აიცილოს პასუხისმგებლობა სსრ კავშირის წინააღმდეგ აგრესიის გეგმების განხორციელების პროცესში ჩადენილ დანაშაულებათათვის. საქმე ის არის, რომ „ბარბაროსას“ გეგმასთან დაკავშირებული ყველა დირექტივა კაიტელის მიერ იყო ხელმოწერილი. ახლა იგი ამას აღიარებს და ამასთან დაკავშირებით ხაზს უსვამს, რომ ამ დირექტივების, „სევე როგორც თვით „ბარბაროსას“ გეგმის „ედეები“ წამოაყენა ჰიტლერმა მასთან შემდგარ თათბირზე.

— როგორც მე ვფიქრობ,—ეუბნება ადვოკატი ნელტე თავის მარწმუნებელს,—ჰიტლერმა ამ თათბირზე გენერლებს უთხრა, რომ ახლა გამოყენებული იქნება ომის წარმოების სრულიად უჩვეულო მეთოდები.

— სწორია,—სწრაფად უპასუხებს კაიტელი.—თათბირზე გამოითქვა აზრები იმ ოლქების ადმინისტრაციისა და ეკონომიური ექსპლოატაციის შესახებ, რომლების ოკუპაციაც უნდა მოგვეხდინა. გამოთქმულ იქნა სრულიად ახალი იდეა ნათესურნო კომისარიატებისა, როგორც ადმინისტრატიული ორგანოებისა. აგრეთვე მიღებულ იქნა მკაფიო გადაწყვეტილება—ეკონომიური მხრივ უმაღლესი ხელმძღვანელობა გადასცემოდა რწმუნებულს ოთხწლიანი გეგმის დარგში. აგრეთვე მიღებულ იქნა დებულება, რომ სს რაიხსფიურერი ჰიმლერი იღებდა სრულ რწმუნებებს ყველა იმ პოლიციური მოქმედების დარგში, რომლებიც შემდეგ ცნობილი გახდნენ ამ ოლქებში.

კაიტელი ყოველივე ამას იმისთვის ამბობს, რომ თავი დაიძვრინოს. ამ მიზნით იგი აცხადებს:—როგორც ხედავთ, რაიხსმარშალს (გერინგი) ჰქონდა განსაკუთრებული დავალებანი, აგრეთვე სს რაიხსფიურერს (ჰიმლერი), მე კი მათ მიმართ ძალაუფლება არ მქონია

დამცველი ნელტე ამთავრებს დაკითხვას სსრ კავშირზე თავდასხმის მომზადების შესახებ და უბრუნდება ჰიტლერთან 1941 წლის მარტში შემდგარ თათბირს.

— რა უბრძანა ჰიტლერმა გენერლებს ამ თათბირზე და მათ როგორ მიიღეს ეს ბრძანება?—ეკითხება ნელტე.

— ცალკე თავთავსარდალთა ოპერატიული ამოცანების შესახებ მოკლე მოითათბანთა შემდეგ,—უპასუხებს ბრალდებული, — ჰიტლერმა წარმოსთქვა განმაზოგადებელი სიტყვა. ამ სიტყვაში ჰიტლერმა მოგვცა მითითება ურჩოლქებში ხელი აგვეღო სასამართლოს წარმოებაზე და სასტიკი ღონისძიებებით ჩაგვეხშო წინააღმდეგობა.

დამცველი: თქვენ ეს როგორიმე სხვა გენერალმა განაცხადეთ პროტესტი ამ განმარტებათა, მითითებათა და ბრძანებათა წინააღმდეგ?

კაიტელი: არა, მე პროტესტი არ განმიცხადებია, და არც ის გამიგია, რომ რომელიმე გენერალს პროტესტით მიემართოს ფიურერისათვის.

ბრალდებულ კაიტელის შემდგომი დაკითხვა გადატანილ იქნა საღამოს სხდომისათვის.

საქართველოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატი

მეთვრამეტე ტური

მეთვრამეტე ტურის შედეგებმა კიდევ უფრო გაამწვავეს საკითხი, თუ ვინ იქნება საქართველოს ჩემპიონი ჭადრაკში.

ბლაგიძემ მოუგო ქარსელაძეს, სოროკინმა პეტროსიანს, მიკენასმა ვეიზერს, გაჩეჩილაძემ ნერსესოვს, ცინცაძემ მალაშხიას.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა. გროსმაისტერ კერესს ზედმეტი პაიკი აქვს შიშოვის წინააღმდეგ. რთულ მდგომარეობაში გადაიდო ზაგორიანსკი-არუთინოვის და ფირცხალავა-ალამალიანის პარტიები. გიორგაძე-სერედას პარტია გადაიდო დაახლოებით თანასწორ მდგომარეობაში. ებრალიძე-ფალავანდიშვილის პარტია არ გათამაშებულა.

თვრამეტი ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: კერესი +16 (1 გადადებული), მიკენასი +15½ (1 გადადებული), ზაგორიანსკი +12 (2 გადადებული), პეტროსიანი +10½ (1 გადადებული), ბლაგიძე +10 (3 გადადებული), ებრალიძე +10 (2 გადადებული), სოროკინი +9½ (1 გადადებული), ცინცაძე +9 (1 გადადებული), შიშოვი +9 (2 გადადებული), სერედა +8 (2 გადადებული), ფალავანდიშვილი +7½ (1 გადადებული), ფირცხალავა +6½ (6 გადადებული), გიორგაძე +6½ (4 გადადებული), ვაჩეჩილაძე +7, მალაშხია +6½, ნერსესოვი +6, არუთინოვი +5 (2 გადადებული), ვეიზერი +3½ (2 გადადებული), ალამალიანი +3 (3 გადადებული) და ქარსელაძე +1½.

7 და 8 აპრილს დამთავრდება გადადებული პარტიები.

უნგრეთის განთავისუფლების პირველი წლისთავის ღღესასწაული

ზოლტან ტილდის გამოსვლა

ბუდაპეშტი, 5 აპრილი. (საკ.). გუშინ უნგრეთის რესპუბლიკის დედაქალაქში შესდგა უნგრეთის განთავისუფლების წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სხდომა გაიხსნა უნგრეთისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნების შესრულებით.

სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზოლტან ტილდიმ.

— ჩვენმა განმათავისუფლებელმა საბჭოთა კავშირმა,—სთქვა მან,—არა მარტო განდევნა ჩვენი ძველისძველი მტერი, არამედ თავის დიდ მოკავშირეებთან ერთად ჩვენს ერს დაუბრუნა დამოუკიდებლობა და ხალხს—თავისუფლება.

ტილდიმ აღნიშნა, რომ უნგრელ ხალხს ახლა, ბოლოსდაბოლოს, შეუძლია თავისი ცხოვრებით იცხოვროს და აშენოს ბედნიერი კერა. თავის სამშობლოში. მან განაცხადა:

„ჩვენმა ხალხმა რომ ამ გზაზე დადგომა შესძლო, ამას იგი უნდა უმადლოდეს თავის განმათავისუფლებლებს. ნება მიბრძანეთ ამ საზეიმო შემთხვევის გამო ერთხელ კიდევ გამოვუცხადო მთელი ხალხის მადლობა საბჭოურთან და ძლევამოსილ წითელ არმიას, მის დიდ ბელადს გენერალისიმუს სტალინს, მის მეომრებს, ოფიცრებსა და გენერლებს და პატივი ვცე იმ დაღუპული გმირების ხსოვნას, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე შესწირეს ჩვენს სამშობლოს, ხალხთა თავისუფლებას. მათი სახელები და განმათავისუფლებელი ძლევამოსილი ბრძოლები ჩაიწერება ჩვენი ხალხის ისტორიაში, იმ ხალხების ისტორიაში, რომლებმაც თავისუფლება მიიღეს“.

ზოლტან ტილდის გამოსვლის შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა მისასალმებელი დეპეშები ი. ბ. სტალინისადმი, ვ. მ. მოლოტოვის, ნ. მ. შვერნიკის, კ. ე. ვოროშილოვის, მარშლების ტოლბუხინისა და მალინოვსკისადმი.

რეგენგ დამასკინოსის გადადგომა

ათენი, 6 აპრილი. (საკ.). საბერძნეთის ახალი მინისტრთა საბჭოს პირველი მღელვარე სხდომის შემდეგ პრემიერმა ეფორნალისტებს განუცხადა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა რეგენტის წერილი გადადგომის შესახებ გაუგზავნონ მეფეს და არავითარი რეკომენდაცია არ დაურთოს გადადგომის უარსაყოფად.

ცნობილი გახდა, რომ სხდომის დროს „ეროვნულ-პოლიტიკური ბლოკის“ (პაპანდრეუ, კანელოპულოსი, ვენიზელისი) ლიდერები დაეინებით მოითხოვდნენ, რომ მთავრობამ ურჩიოს მეფეს, რათა მან სთხოვოს დამასკინოსს დაეინებით ნუ მოითხოვს გადადგომას. მინისტრები მონარქისტული „სახალხო“ პარტიისაგან (პოპულისტები) მოითხოვდნენ, რომ მთავრობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია რჩევა მისცეს მეფეს, თუ იგი მთავრობას აზრს ჰკითხავს.

უცხოეთის პრესა საბერძნეთში მომხდარი „არჩევნების“ შესახებ

ბუდაპეშტი, 4 აპრილი. (საკ.). უნგრეთის გაზეთი „საბად ნეფი“ ეხება საბერძნეთში ჩატარებულ არჩევნებს და სწერს, რომ ამ არჩევნებმა დაადასტურეს იმათი სიმართლე, ვინც მათ წინასწარ უწოდებდა ფაშისტურ-მონარქისტულ რეაქციულ კომედიას. უკვე ახლა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ არჩევნები საბერძნეთში ხელს არ შეუწყობს ამ ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ნიუ-იორკი, 5 აპრილი. (საკ.). „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტი იუწყება, რომ იმ პირთა რიცხვი, რომლებსაც არ ჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ, მოულოდნელად დიდია პროვინციებში და მთის სოფლებშიც კი, სადაც ადგილია რეპრესიების გატარება, ვინაიდან თვითეული ადამიანის საქმიანობა კარგად არის ცნობილი. ზოგიერთ რაიონში არ ჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია მოსახლეობის 75 პროცენტს. იმ პირთა რიცხვი, ვისაც არ ჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია, დიდია პელოპონესში, რომელიც წინათ მონარქისტთა დასაყრდენად ითვლებოდა.

დემონსტრაცია ზრიესტში

ბელგრადი, 5 აპრილი. (საკ.). ბელგრადის რადიო გადმოგვცემს, რომ 3 აპრილს ტრიესტში გაიმართა მძლავრი დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 150 ათასზე მეტმა კაცმა. დემონსტრანტები პროტესტს აცხადებდნენ ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ და ხოლოდაორობა გამოუცხადეს ანტიფაშისტებს, რომლებიც ამჟამად ტრიესტის საპყრობილეებში იტანჯებიან. სტეჟიურად გამართულ მიტინგზე ერთ-ერთმა ორატორმა სთქვა: ისინი, ვისაც დავლებული აქვს წესრიგის შენარჩუნებისათვის თავლაყურის დევნება, ცხადად გვიჩვენებენ თავიანთ ანტიდემოკრატიულ მისწრაფებებს. ეს, უწინარეს ყოვლისა, პოლიციას შეეხება. მის რიგებში არიან ფაშისტური ელემენტები და ის პირები, რომლებიც გერმანელებთან თანამშრომლობდნენ. ბუნებრივია, რომ ასეთი პოლიცია ხალხის სასარგებლოდ ვერ იმოქმედებს.

მეორე ორატორმა შეკრებილთა სახელით პროტესტი განაცხადა ფაშისტური მეთოდების გამო, რომელებსაც მიმართეს რინალდოს კულტურული საზოგადოების შენობაში ჩხრეკის დროს.

ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულების გამო

კაირო, 3 აპრილი. (საკ.). მას შემდეგ, რაც ტრანსიორდანიის მინისტრთა საბჭომ მოიწონა ინგლის-ტრანსიორდანიის ხელშეკრულება, გუშინ ამაღამ ემირმა აბდულამ მოახდინა ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ბეირუთი, 3 აპრილი. (საკ.). ინგლის-ტრანსიორდანიის შეთანხმება მკვეთრად დაჭრა სირიის პრესამ. გაზეთი „ალ-აპბარი“ სწერს: „ინგლისსა და ტრანსიორდანიას შორის დადებულმა შეთანხმებამ ტრანსიორდანია მანდატის ეპოქაში ირსებული გაკიცებით უარეს მდგომარეობაში ჩააყენა, ვინაიდან ყოფილ მანდატ ოკუპაციად გადაიქცა, რომელმაც კანონიერი ხასიათი მიიღო. ტრანსიორდანიაში უცხოეთის ჯარების ყოფნა საფრთხეს უქმნის საერთოდ მთელი არაბული აღმოსავლეთის და, კერძოდ, სირიის დამოუკიდებლობას“.

გაზეთმა „ალ-ზამანმა“ სტატია მოათავსა შემდეგი სათაურით: „ჩვენ არ დავთანხმდებით, რომ ლიბანი და სირია იყოს კორიდორი უცხოელთა შემოჭრისათვის, ხოლო ტრანსიორდანია—უცხოელთა ჯარების ბაზა“.

სტატიაში ნათქვამია: „იმ მომენტში, როცა ეგვიპტე მოითხოვს უცხოელთა ჯარების ევაკუაციას და როცა ლიბანი ცდილობს განახორციელოს ეს ევაკუაცია, ჩვენ ვხედავთ, რომ ტრანსიორდანია შეთანხმებას სდებს და უცხოელთა ჯარების ბაზა ხდება განუსაზღვრელ დროით. ამ მდგომარეობაშ უნდა შეაშფოთოს ჩვენი მთავრობა, ვინაიდან არავითარ სარგებლობას არ მოიტანს დამასკოდან უცხოელთა ჯარების ევაკუაცია, თუ ეს ჯარები ბეირუთში ან ამანში იქნებიან“.

დამასკოს გაზეთი „ბარადა“ სწერს: „ემირ-აბდულას მის მიერ დადებული შეთანხმება დიდ პოლიტიკურ გამარჯვებად მიაჩნია. ნამდვილად ეს არის ინგლისური ოკუპაციის და ინგლისის მუდმივი ბატონობის დამყარება. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ შეთანხმებამ მნიშვნელოვნად დასწია უკანტრანსიორდანია. ახლა უფრო ცუდი მდგომარეობა შეიქმნა, ვიდრე მანდატის დროს იყო, ვინაიდან მაშინ ინგლისელები ემორჩილებოდნენ რაღაც პირობებს და ყოფნის ვადებს, ახლა კი ისინი სამუდამოდ რჩებიან ხელშეკრულების თანახმად, და ტრანსიორდანია მოვალეა გაუადვილოს მათ იქ ყოფნა“.

რუმინეთის მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა განაახლა საბჭოთა კავშირთან

ბუქარესტი, 5 აპრილი. (საკ.). საგარეო საქმეთა სამინისტრომ დღეს შემდეგი კომუნიკე გამოაქვეყნა:

„რუმინეთის მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა განაახლა გენერალ ფრანკოს მთავრობასთან. ჩვენ მადრიდის მისიის მთელი პირადი შემადგენლობა გამოწვეულია რუმინეთში“.

ამ კომუნიკესთან დაკავშირებით მინისტრთა საბჭოს ვიცე-თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ტატარესკუმ რუმინეთისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლებს განუცხადა გაუკეთა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„მადრიდის დიქტატურის მთავრობა ანაქრონიზმია, რაც აფერხებს იმ სრული საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელებას, რომელიც ყველა დემოკრატიული რეჟიმის ღირსეული მიზანია და არსებითი პირობაა იმისათვის, რომ კაცობრიობამ თავი დაიღწიოს უკანასკნელი ომით შექმნილ ქაოსს. ეს მთავრობის წინააღმდეგ ილაშქრებს მთელი ახალი მსოფლიოს შეგნება—დემოკრატიული მსოფლიოს შეგნება.

თავის ახლანდელ მდგომარეობაში რუმინეთს სხვა საშუალება არა აქვს შეუერთდეს ამ შეგნების გამოვლინებას გარდა იმისა, რომ დიპლომატიური ურთიერთობა გასწყვეტოს გენერალ ფრანკოს მთავრობასთან.

მოახდინა რა ეს აქტი, რუმინეთის მთავრობამ არ დაიგიწყა რუმინელი ხალხის სიმპატია და მეგობრობა გამოეთქვა, ესპანელი ხალხისადმი.

ოსუბკა-მორავსკის სიტყვა პოლონეთის სოციალისტური პარტიის მთავარი საბჭოს სხდომაზე

ვარშავა, 5 აპრილი. (საკ.). პოლონეთის სოციალისტური პარტიის მთავარი საბჭოს სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ოსუბკა-მორავსკიმ გააშუქა სიტუაცია, რომელიც შეიქმნა იმის შედეგად, რომ „პოლსკე სტრონიცტვო ლუდოვე“ (მიკოლაიჩიკის პარტია) უარი სთქვა საარჩევნო ბლოკში მონაწილეობაზე.

ილაპარაკა რა ბრძოლაზე, რომელსაც რეაქცია დემოკრატიულ პოლონეთთან აწარმოებს, პრემიერმა აღნიშნა, რომ ამ ბრძოლაში გამოყენებულ მეთოდებს ახასიათებს ფაქტები კლეთთა დახოცვისა იმისათვის, რომ ისინი ასრულებენ ვალდებულებებს ჩაბარებათა დარგში, ანდერსის მომხრეთა ტერორი იმ პოლონელთა მიმართ, რომელთაც სამშობლოში დაბრუნება სურთ, ამერიკაში მყოფი რეაქციული ემიგრაციის წინააღმდეგობა პოლონეთისათვის დახმარების საქმეში. რეაქციასთან ბრძოლა, ამბობს ოსუბკა-მორავსკი, დაუნდობელი უნდა იყოს.

ორატორი იგონებს აგრეთვე საბჭოთა კავშირში პოლონური ემიგრაციის მიღწევებს და ადარებს ამ მიღწევებს დასავლეთში მყოფი ემიგრაციის საქმიანობის შედეგებს. საბჭოთა კავშირში მყოფმა პოლონურმა ემიგრაციამ პოლონეთს მისცა ჩინებულად შეიარაღებული არმია, რომლის მონაწილეობას გერმანიასთან ბრძოლაში არა მარტო სამხედრო, არამედ მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. არმიის შეიარაღებისა და მომარაგებისათვის და ჩვენი ემიგრაციისადმი გაწეული დახმარებისათვის საბჭოთა კავშირი საფასურს არ მოითხოვს. მაგრამ დასავლეთში მყოფ ჯარისკაცს, რომელმაც თავისი სისხლი დაღვარა ჰიტლერიზმთან ბრძოლაში, რეაქციული ემიგრაციის საქმიანობის გამო არ შეუძლია სამშობლოში დაბრუნდეს როგორც გამარჯვებული, ხოლო ამ ჯარისკაცთა შრომისა და ბრძოლისათვის ჩვენგან მილიონობით გირვანქა სტერლინგს მოითხოვენ. საბჭოთა კავშირთან მეგობრობა ჩვენ გვესაჭიროება ახლაც და მომავალშიც. საბჭოთა კავშირის სახით ჩვენ უნდა გვყავდეს არა მარტო მეზობელი, რომელთანაც ყოველი დავა მოვაგვარეთ, არამედ გულითადი მოკავშირეც, რომელიც, თუ საჭირო იქნა, გულწრფელად და პატიოსნად დაგვეხმარება. ამას ემყარება ჩვენი დამოუკიდებლობის გარანტიაც.

ლაპარაკობს რა პოლონეთის სოციალისტური პარტიის სხვა პარტიებთან თანამშრომლობაზე, ოსუბკა-მორავსკი აცხადებს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა მუშათა კლასის ერთიანობის შენარჩუნება. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ხაზი პოლონეთის მუშათა პარტიასთან მტკიცე ერთიანი ფრონტის ხაზია. პოლონეთის სოციალისტური პარტია მზადაა თანამშრომლობს სტრონიცტვო ლუდოვეს და სტრონიცტვო ლუდოვეს პარტიებთან. პოლსკე სტრონიცტვო ლუდოვეს რიგებში უნდა გავარჩიოთ ზედაფენები მასებისაგან, დემოკრატიული ელემენტები არადემოკრატიული ელემენტებისაგან და მთელი ჯანსაღი ელემენტები დემოკრატიულ ბანაკში მოვიზიდოთ.

იაპონური გაზეთი იაპონიაში იმპერატორის მოგზაურობის შესახებ

ტოკიო, 5 აპრილი. (საკ.). გაზეთმა „მინპომ“ მოათავსა მოწინავე სტატია, რომელშიც ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ იაპონიის იმპერატორმა იაპონიის პროვინციებში იმოგზაუროს საარჩევნო კამპანიის დროს.

აღნიშნავს რა, რომ საარჩევნო კამპანიაში პროგრესული და კონსერვატული ძალების ბრძოლის უმნიშვნელოვანეს ობიექტს წარმოადგენს საიმპერატორო სისტემის საკითხი, გაზეთი სწერს, რომ ამ კამპანიის დროს იაპონიაში იმპერატორის მოგზაურობას კონსერვატიული პარტიები ამომრჩეველთა ხმების შესაგროვებლად იყენებენ, ეს მოგზაურობა აგრეთვე პოლიტიკურ გავლენას ახდენს კონსტიტუციის გადასინჯვაზე. „ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ,—სწერს გაზეთი,—რომ მანამდე მაინც, სანამ საყოველთაო არჩევნებით დადგენილი არ არის პოლიტიკურ ძალთა ახალი თანაფარდობა და სანამ კონსტიტუციის გადასინჯვით განსაზღვრული არ არის მდგომარეობა, რომელიც იმპერატორს პოლიტიკურ სტრუქტურაში უნდა ეკავოს, გონივრული იქნებოდა, რომ იმპერატორს თავი შეეკავებინა იაპონიაში მოგზაურობისაგან“.

ბრაზილიაში აღმოაჩინეს იაპონელთა აბაზანაგული ფერფლისფული ორგანიზაცია

რიო-დე-ჟანეირო, 5 აპრილი. (საკ.). როგორც გაზეთი „ანოიტე“ იუწყება, სან-პაულოში აღმოაჩინეს ცენტრი იაპონელთა ტერორისტული ორგანიზაციისა „ღვთაებრივი გზის ლიგის“ სახელწოდებით. ორგანიზაციას ჰქონდა ამ მიმდებ-გადამცემი რადიოსადგური და სტამბა, რომელშიც აღმოჩენილია გეგმები და რუკები იაპონური წარწერებით. იაპონელთა არალეგალურმა ორგანიზაციამ მოჰკლა მთელი რიგი თავისი თანამემამულეები, „რომლებიც დათანხმდნენ იმპერატორის დამარცხებას“, და დასახა მთელი რიგი სხვა მსხვერპლნი, რომლებსაც აშკარად ემუქრებოდა მოკვლას. ორგანიზაციის შემადგენლობაში შედიოდა ბრაზილიაში მცხოვრები ყველა იაპონელი ფაშისტი. 2 აპრილს ბრაზილიის პოლიციამ დააპატიმრა ორგანიზაციის 15-მდე წევრი, მათ შორის ორგანიზაციის თავმჯდომარე ტარო. დაპატიმრება გრძელდება.

საგაფიცვო მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 5 აპრილი. (საკ.). ამერიკის პრესის ცნობებით, დეტროიტში გაფიცვა გამოაცხადა ამერიკის შრომის ფედერაციაში შემავალი ტრამვაისა და ავტობუსის მუშაკთა პროფკავშირის 5,200 მუშამ. გაფიცვა იმის შედეგად მოხდა, რომ კომპანიამ არ დააკმაყოფილა პროფკავშირის მოთხოვნა ხელფასის მომატების შესახებ.

ტრამვაისა და ავტობუსის მუშაკთა პროფკავშირმა, რომელიც საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შედის, და ქალაქის ტრანსპორტის ყველა მემანქანემ აგრეთვე გამოაცხადეს გაფიცვა. ისინი მოითხოვენ სამუშაო კვირის შემცირებასა და ხელფასის მომატებას.

პარლამენტის მომავალი არჩევნებისათვის ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 5 აპრილი. (საკ.). როგორც პრაღის რადიო იუწყება, პარლამენტის არჩევნებში, რაც მაისში შესდგება, ჩეხიისა და მორავიაში კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებს 5.792,494 მოქალაქე და სლოვაკიაში—1.685,898.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საგენტო იუწყება, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა გამოარკვიეს, რომ მთელ რიგ ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს სიებიდან არ გამოერიცხავთ ბევრი გამცემი. ყველა მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს 20 მაისამდე სათანადო დაწესებულებებს განუცხადოს თავისი მოსაზრებანი არჩევნებში ამა თუ იმ საეკლო პირთა მონაწილეობის წინააღმდეგ.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება აღბანეთთან ურთიერთობის შესახებ

**ლონდონი